პროგრამის დასახელება	კოდი	სტუდენტების დაფინანსების პროგრამა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	04 06		20,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამა ვრცელდება სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახების (სარეიტინგო ქულა 70 000-ზე ნაკლებია) წევრ სტუდენტებზე, ასევე დედ-მამით ობოლ სტუდენტებზე, რომლებიც სწავლობენ აკრედიტირებულ უმაღლეს/პროფესიულ სასწავლებლებში და არ არიან ჩართული დაფინანსების არცერთ სახელმწიფო პროგრამაში.		

	პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მიმდინარე სასწავლო წლის სწავლის საფასურის ნახევარი, მაგრამ არაუმეტეს 1125 ლარისა, დარჩენილი თანხის დაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ. დაფინანსება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, შესაბამის სასწავლებელში თანხის ჩარიცხვით. დაფინანსება იქნება ერთჯერადი სახის. პრიორიტეტი ენიჭება პირველ რიგში, სტუდენტის მაღალ აკადემიურ მოსწრებას, შეფასების სისტემით 90 ქულიდან 100 ქულის ჩათვლით, მეორე - ოჯახში შედარებით დაბალ სარეიტინგო ქულას, მესამე - სტუდენტებს, რომლებიც წარჩინებული არიან თავიანთი პროფილით (მაგალითად, პერსონალური გამოფენა, წიგნის გამოცემა, მთავარი როლი თეატრალურ წარმოდგენაში, მთავარი პარტია საოპერო დადგმაში და ა.შ.: ჩართულია სასწავლო, სამეცნიერო, კვლევით, სპორტულ და სხვა სახის პროგრამებში) . პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დაფინანსება განხორციელდება სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით. პროგრამის გათვალისწინებით, მერიაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია: 1. განცხადება მერის სახელზე; 2. პირადობის ან/და დაბადების მოწმობის ასლი; 3. სოციალურად დაუცველი სტუდენტის შემთხვევაში - ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან; 4. ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის სტატუსის შესახებ, წლიური გადასახადების მითითებით; 5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი/ამონაწერი წინა სემესტრის გავლილი საგნებისა და შეფასებების შესახებ; 6. იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის შემთხვევაში - ცნობა გაცემული შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოდან (დევნილის მოწმობა) ; 7. თავიანთი პროფილით წარჩინებული სტუდენტების შემთხვევაში - ორი რეკომენდაცია (ერთი მიმართულების მეცნიერ-თანამშრომლის და ერთი ფაკულტეტის დეკანის); ასევე, სასწავლებლიდან წარმოდგენის დოკუმენტაცია სხვადასხვა სახის პროგრამებში ჩართულობის და მიღებული სერთიფიკატის - ჯილდოების შესახებ; 8. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბანკო რეკვიზიტები და ანგარიშფაქტურა; 9. გადასახდელი თანხის ნაწილის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. დაფინანსების მოპოვებისათვის განცხადების შემოტანის უფლება აქვს თავად დაფინანსების მსურველ პირს ან/და მის წარმომადგენელს (წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე) .
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სტუდენტთა და მშობელთა კმაყოფილების დონის ამაღლება

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების მიმართულებით აუცილებელია ხელი შევუწყოთ კულტურული ტრადიციების დაცვას და მის ღირსეულ გაგრძელებას.

ათასი ლარი

ორგანიზა ~ციული კოდი	დასახელება	2024 წლის პროგნოზი			2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	4719,7	620,6	4099,1	4265,0	3835,3	4028,7
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2180,7	360,6	1820,1	1350,5	1360,0	1370,0
05 01 01	სპორტის ხელშეწყობის ღონისძიებათა პროგრამა	840,0	0,0	840,0	842,0	844,0	846,0
05 01 02	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	504,0	0,0	504,0	478,0	482,0	486,0
05 01 03	სპორტულ ღონისძიებათა პროგრამა	62,5	0,0	62,5	29,5	32,0	35,0
05 01 04	სპორტული ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა	774,2	360,6	413,6	0,0	0,0	0,0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	2377,0	260,0	2117,0	2715,5	2269,3	2445,7
05 02 01	მოსწავლე- ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	1046,1	0,0	1046,1	1642,0	1154,0	1279,9
05 02 02	ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების	475,0	0,0	475,0	524,9	532,0	552,1

	ხელშეწყობის პროგრამაში						
05 02 04	კულტურული ღონისძიებების პროგრამა	595,9	0,0	595,9	548,6	583,3	613,7
05 02 05	კულტურის ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა	260,0	260,0	0,0	0,0	0,0	0,0
05 03	ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამა	60,0	0,0	60,0	45,0	50,0	55,0
05 05	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	50,0	0,0	50,0	100,0	100,0	100,0
05 06	საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა	52,0	0,0	52,0	54,0	56,0	58,0

სპორტის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის ხელშეწყობის ღონისძიებათა პროგრამა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	05 01 01		840,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება“		
პროგრამის მიზანი და აღწერა	მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, დაინტერესება და ჩართულობის ზრდა სპორტით დაინტერესებული მოსახლეობის საყოველთაოობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით; სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, სპორტის განვითარება; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება; სპორტის ინდუსტრიის განვითარება; ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება“ ახორციელებს სწავლებებს სპორტის შემდეგი მომართულებებით: ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ქართული ჭიდაობა, კრივი, რაგბი, ჭადრაკი, კარატე-დო, კალათბურთი, ძიუდო, ტაეკვანდო, ხელბურთი,		

	მაგიდის ჩოგბურთი, მკლავჭიდი, სამზო, კუდო, პროფესიული კრივი, კიკბოქსინგი. გაერთიანებაში სწავლება უფასოა.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა სპორტული ცენტრის ფუნქციონირება შეუფერხებლად; მოზარდებისათვის სპორტული წრეებით ხელმისაწვდომობა		
პროგრამის დასახელება	კოდი	ფეხბურთის ხელშეწყობის პროგრამა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	05 01 02		504,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი”		
პროგრამის მიზანი და აღწერა	1. ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა ფეხბურთში; სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული სპორტსმენების მომზადება; ნაკრები გუნდებისათვის თანამედროვე საწვრთნელი პროცესის დანერგვა; 2024-2027 წწ. პროგრამის /ქვეპროგრამის ფარგლებში, შეჯიბრებებსა და ტურნირებში მონაწილეობის მიღება; ბავშვთა რაოდენობის გაზრდა; მწვრთნელთა გადამზადება, ტრენინგის გავლა ლიცენზიის კატეგორიების მოპოვებისათვის; ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამის დაფინანსება 2. პროგრამის /ქვეპროგრამის ფარგლებში, ასაკობრივი ჯგუფების, მოსამზადებელი ჯგუფების, გუნდი „ეგრისი“-ს დაკომპლექტება/განვითარება; ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. 3. ქართული ფეხბურთის განვითარება და გამორჩეული ბავშვების წარდგენა საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის; საფეხბურთო კლუბი „ეგრისი“-ს დაკომპლექტება ადგილობრივი აღსაზრდელებით. ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბში“ ირიცხება 150-ზე მეტი ფეხბურთელი. ასაკობრივი გუნდები მონაწილეობას ღებულობენ ელიტ ლიგის გათამაშებაში, უზრუნველყოფილი არიან ეკიპირებით, კვებითა და ტრანსპორტირებით. ცენტრში სწავლება უფასოა. ასაკობრივი გუნდების ფეხბურთელების მოტივაციის ასამაღლებად და შემდგომი განვითარების მიზნით, მიზანშეწონილია შეიქმნას U-15-ის გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ბრინჯაოს ლიგაში.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოსალოდნელი შედეგები: ჯანმრთელი ცხოვრების წესი		

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებების პროგრამა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	05 01 03		62,5
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამა მოიცავს: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე მოყვარული სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი ჯილდოებით და ფასიანი საჩუქრებით; საანგარიშო წლის მანძილზე წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების წახალისება ერთჯერადი ფულადი ჯილდოებით; წლის წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების დაჯილდოვება, სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება; პროექტები: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, სპორტი ბარიერების გარეშე, მოყვარულთა ფეხბურთის ლიგისა, მასტერ ლიგისა და ევროპის სპორტული კვირეულის, სენაკის მუნიციპალური თამაშების ჩატარება-ორგანიზება და გამარჯვებულებისათვის რეგიონალურ და ზონალურ ეტაპებზე ტრანსპორტირებაში და ფორმებით უზრუნველყოფაში ხელშეწყობა. პროგრამის მიზანია: ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პროგრამის განხორციელების შედეგად დაფინანსდება სხვადასხვა სპორტული პროექტი, შესაძლებელი იქნება წარმატებული მოყვარული, ვეტერანი, თუ მოქმედი სპორტსმენის წახალისება და ეროვნული ცნობიერების ამაღლება, გამოვლინდება და დაჯილდოვდებიან წლის საუკეთესო სპორტსმენები და მწვრთნელები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	05 01 04		774,2
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური		

პროგრამის მიზანი და აღწერა	ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში და საჯაიას ქუჩის მიმდებარედ სპორტული მოედნების რეაბილიტაცია. მრავალწლიანი შესყიდვის დავალიანების დაფარვა. ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში სპორტული მოედნის მოწყობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოსახლეობის კმაყოფილების დონის ამაღლება

ულტურის განვითარების ხელშეწყობა

კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, სადღესასწაულო დღეებში ჩატარდება სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

პროგრამის დასახელება	კოდი	მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	05 02 01		1046,1
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი”		
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია სენაკის მუნიციპალიტეტის და მის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები მოსწავლე- ახალგაზრდობის ესთეტიკურ-შემეცნებითი აღზრდა, განვითარება და მთლიანად მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება, მათი შემოქმედებითი ცხოვრების გამრავალფეროვნება. მოსწავლე-ახალგაზრდობისა და ზოგადად მოსახლეობის ესთეტიკურ-კულტურული დონის ამაღლების მიზნით აღნიშნულ ცენტრში ფუნქციონირებს ხალხური და საესტრადო ცეკვებისა და სიმღერის ანსამბლები, ახალგაზრდული კლუბი, თეატრალური სტუდია. წრეები: საესტრადო საკრავების, მხატვრული კითხვის, აგრეთვე ეკოლოგიისა და ეკოტურიზმის სექცია „მწვანე ერთობა“, წიგნის და კულტურული ტურიზმის კლუბები. 2023-2024 სასწავლო წლისათვის განსახორციელებელი მომსახურების ნუსხა: • მხატვრული კითხვის სექცია (უფასო); • ეკოლოგიის სექცია(უფასო); • საესტრადო საკრავების სწავლების სექცია (ფასიანი); • სპორტული ცეკვების სწავლების სექცია (ფასიანი); • ქართული ხალხური ცეკვის სწავლების სექცია(ფასიანი); • საესტრადო სიმღერების სწავლების სექცია(ფასიანი); • საბავშვო თეატრალური სკოლა-სტუდია (ფასიანი) • კულტურის ცენტრის ახალგაზრდული თეატრი (უფასო); • ქორეოგრაფიული ანსამბლი „კოლხი“ (უფასო); • ტურიზმის განვითარების სექცია (უფასო) • წიგნის სიყვარულთა სექცია (უფასო)		

	საესტრადო მუსიკალური ბენდი „აკუსტიკა“ (უფასო) თითოეულ ფასიან სექციაზე სწავლის ღირებულება შეადგენს 20 ლარს. ფასიანი წრეების ყოველთვიური გადასახადის გადახდისაგან განთავისუფლებიან იმ ოჯახის მოზარდები და ახალგაზრდები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს არაუმეტეს 70 000 (სამოცდაათი ათასს) ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ომებში და სამშვიდობო ოპერაციების განხორციელებისას დაღუპული, უგზოუკვლოდ დაკარგული მებრძოლთა შვილები და ასევე ცენტრის თანამშრომელთა ოჯახის წევრები (შვილები, შვილიშვილები). დევნილებზე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე (შშმპ) გავრცელდება 50%-იანი შეღავათი. ერთი ოჯახიდან ორი ბენეფიციარის ერთ პედაგოგთან სიარულის შემთხვევაში მე-2 ბენეფიციარის ყოველთვიური გადასახადის ოდენობა განახევრდება (საფასური 50%).
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებში მცხოვრებთა (მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩათვლით) ესთეტიკურ-კულტურული დონის ამაღლება, მათი ცხოვრების გამრავალფეროვნება, კულტურული ტრადიციების დაცვა და სხვა.

პროგრამის დასახელება	კოდი	ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების ხელშეწყობის პროგრამა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	05 02 02		475,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი“		
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: სკოლისგარეშე სახელოვნებო განათლების მიღების ხელმისაწვდომობა, ნიჭიერთა გამოვლენა და შემოქმედებითი მხარდაჭერა, ხელოვნების დარგების პოპულარიზაცია. პროგრამა უზრუნველყოფს ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის“ დაფინანსებას, რომლის სისტემაში ფუნქციონირებს სამუსიკო და სამხატვრო სკოლები, შემოქმედებითი ჯგუფები/ანსამბლები, ხელოვნების საკვირაო და საზაფხულო სკოლების პროექტები. ცენტრის სტრუქტურულ ერთეულებში მოქმედებს სოციალური მხარდაჭერის პროექტები. სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, საორგესტრო (ვიოლინო, ჩელო, საქსაფონი, ფლეიტა, ალტი) განყოფილება, საგუნდო სიმღერის სპეციალობა, საესტრადო განყოფილება, გიტარისა და ხალხურ საკრავთა ჯგუფები. ფასიანი მომსახურების წლიური ღირებულება შეადგენს: ა) საფორტეპიანო განყოფილება 250 ლარი; ბ) საორგესტრო განყოფილება - ბაკალავრი პედაგოგისათვის : ვიოლინო ალტი - 250 ლარი; პროფესიული განათლების პედაგოგისათვის: ვიოლინო, ჩელო, საქსაფონი, ფლეიტა - 200 ლარი; გ) საგუნდო-სადირიჟორო - 250 ლარი; დ) საესტრადო -230 ლარი; ე) კლასიკური გიტარა - ბაკალავრი პედაგოგისათვის - 250		

	ლარი, პროფესიული განათლების პედაგოგისათვის - 200 ლარი; ვ) ქართული ხალხური საკრავები (ფანდური) - 200 ლარი; სამხატვრო სკოლაში ეწყობა შიდა და საკლასო გამოფენები, გაკვეთილ-პლენერები, ისწავლება: ხატვა, ფერწერა, ხელოვნების (მსოფლიო და ქართული) ისტორია, გრაფიკა, ძეგლვა, კომპოზიცია. სამუსიკო სკოლაში ჩარიცხულია 70-ზე მეტი მოსწავლე. ფასიანი მომსახურების წლიური ღირებულება შეადგენს 150 ლარს.
მოსალოდნელი საბოლო შედეგი	- სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა - შემოქმედებითი ღონისძიებების ჩატარება

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებების პროგრამა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 04		ლარში 595,9
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში კულტურული თვითმყოფადობის გაღრმავების ხელშეწყობა და შემოქმედებითი პროცესების წარმართვა, კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა და განვითარება; ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის შენარჩუნება; ადამიანის სულიერი, ინტელექტუალური, მორალური და ემოციური განვითარების ხელშეწყობა. სადღესასწაულო დღეების კულტურული ღონისძიებების, ადგილობრივი, ქვეყნის შიდა და საერთაშორისო ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამოების, კონცერტების დაგეგმვა და ორგანიზება; ადგილობრივ მწერალთა, საზოგადო მოღვაწეთა საიუბილეო თარიღების აღნიშვნა, ხელოვნების საღამოების მოწყობა, შემოსული მცირე პროექტების ხელშეწყობა. კულტურული პროექტების დაფინანსება, კულტურის სფეროში მოღვაწე, ნიჭიერი შემოქმედებითი ადამიანებისა და ჯგუფების წარმოჩენა და პოპულარიზაცია, კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის მიზნით საზოგადოებაში მოტივაციის ამაღლება. შესაბამისი პროფილის საქართველოს და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას; მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნების მიზნით ამ პროფილის საგანმანათლებლო საქმიანობის, პროფესიული დაოსტატების ხელშეწყობას; კულტურული მემკვიდრეობის სფეროში კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სხვა საქმიანობის განხორციელებას. მუნიციპალიტეტის მმართველობის სფეროში შემავალ დაწესებულებებში თავმოყრილი ეროვნული სიმდიდრის დაცვის ხელშეწყობას და პოპულარიზაციის, გამოჩენილი პიროვნებების ხსოვნის უკვდავყოფას; კულტურული მემკვიდრეობის სფეროში განათლების დონის ინტელექტისა და კულტურის ამაღლება; გამოჩენილ ღვაწლმოსილ ადამიანებთან შეხვედრა და მათი ღვაწლის პოპულარიზება. კლიპის გადაღება. სცენის შესყიდვა .		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისთვის კულტურული ფასეულობებისა და ღირებულებების ხელმისაწვდომობა, კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ჩართულობა და კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის განხორციელება კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და პოპულარიზაცია; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, მოსახლეობაში პოზიტიური განწყობის შექმნა, ნიჭიერი შემოქმედებითი ადამიანებისა და ჯგუფების წარმოჩენა და პოპულარიზაცია; წელიწადის ყველა ღირშესანიშნავი დღისა და დღესასწაულის აღნიშვნა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამა	2024 წლის დაფინანსება (ათასი ლარი)
	05 03		60,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია:		
	ახალგაზრდული ინიციატივებისა და ახალგაზრდული პროექტების დაფინანსება, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საინიციატივო თუ არასამთავრობო ორგანიზაციის ხელშეწყობა და მოტივაციის მიზნით ახალგაზრდულ საჭიროებებზე მორგებული ახალგაზრდული პროექტების დაფინანსება; ახალგაზრდებისთვის სკოლის დამთავრების საზეიმო აღნიშვნა; ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს სივრცის უზრუნველყოფა; ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღნიშვნა კულტურული, სპორტული, შემეცნებითი აქტივობების განხორციელებით; მრავალფეროვანი ღონისძიებების დაგეგმვა, რომელიც ახალგაზრდების ჩართულობას და მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში გააქტიურებას შეუწყობს ხელს; უნარ-ჩვევების და კომპეტენციების გაუმჯობესება.		
	სენაკის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის 2023-2026 წლისთვის გაწერილი 2024 წლის განსახორციელებელი ქვეპროგრამებია: 1. ახალგაზრდების საქმიანობის განვითარება; 2. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა; 3. ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა.		
	ახალგაზრდების საქმიანობის განვითარების პროგრამის მეშვეობით განხორციელდება, ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა კულტურულ-შემოქმედებით, საბანაკე გართობა-დასვენების, სპორტულ და ფიზიკური აქტივობების ღონისძიებებში და მათი მრავალფეროვნებისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; ახალგაზრდების, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების და საინიციატივო ჯგუფების იდეებისა და ინიციატივების განხორციელების მხარდაჭერა; სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფების მხარდაჭერა და წახალისება; ღონისძიებების ორგანიზება, რომლებიც დაკავშირებული იქნება ახალგაზრდებისთვის ევროპასთან ინტეგრაციის დაკავშირებული საკითხებისა და ევროპული ღირებულებების სწავლებასთან.		
პროგრამის მიზანი და აღწერა	საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობის პროგრამის მეშვეობით განხორციელდება: ახალგაზრდული საბჭოს მხარდაჭერა და გაძლიერება, მათ შორის უზრუნველყოფა სამუშაო სივრცით, ტრანსპორტირებით ახალგაზრდებთან შეხვედრისთვის; მატერიალურ-ტექნიკური ინვეტარით, ტრენინგებით და სხვა აქტივობებით, რომელიც ხელს შეუწყობს საბჭოს წევრების კომპეტენციების განვითარებას; ახალგაზრდების ჩართულობა ისეთი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც უშუალოდ მათ და/ან ზოგადად მუნიციპალიტეტის საქმიანობასა და განვითარებას ეხება; ყოველწლიურად ახალგაზრდული ფორუმის ჩატარება ახალგაზრდული სექტორისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების ანგარიშგება/შეფასების, სამომავლო ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით; ღია ხელმისაწვდომი ახალგაზრდული სივრცეების შექმნა, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ შეკრებას, გართობას, პროგრამებში		

	მონაწილეობას, ღონისძიების დაგეგმვასა და განხორციელებას; ახალგაზრდებს შორის მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა, სამეწარმეო კომპეტენციების განვითარება, სამეწარმეო იდეების დაფინანსება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სენაკში მცხოვრები ახალგაზრდების დაინტერესების გაზრდა, მათი ჩართულობა ახალგაზრდულ პროგრამებში, მათი საჭიროებების გათვალისწინებით ინიციატივების განხორციელება; მათთვის ჯანსაღი კულტურული სპორტული ეკოსისტემის შექმნა; შესაძლებლობა მივაწოდოთ და ისარგებლონ ახალგაზრდული სერვისებით; განვიითარონ სხვადასხვა უნარები და აიმაღლონ კომპეტენციები; 2023-2026 წწ. სამოქმედო გეგმის ფარგლებში გაწერილი აქტივობების შედეგად ახალგაზრდები ჩართულია ახალგაზრდულ საქმიანობაში; გაზრდილია ახალგაზრდების რაოდენობა, რომელიც ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღებაზე ახდენს პოზიტიურ გავლენას; ახალგაზრდები იღებენ ინფორმაციას სამეწარმეო საქმიანობაზე, ეძლევათ საშუალება დასაქმებისა და განვითარებისთვის; მერის სათათბირო ორგანოს- ახალგაზრდული საბჭოს მიერ ახალგაზრდების კომპეტენციების გაუმჯობესება და ინიციატივების განხორციელება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; სივრცეების არსებობა, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდებში თანასწორი განმანათლებლობის პრინციპით მუშაობას.

პროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება (ათასი ლარი)
	05 05		50,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის მიზანი და აღწერა	სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიის განვითარების ხელშეწყობა		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	რელიგიური ორგანიზაციების პრობლემების გაუმჯობესება		

პროგრამის დასახელება	კოდი	საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა	2024 წლის დაფინანსება (ათასი ლარი)
	05 06		52.0
პროგრამის განმახორციელებელი	შპს საინფორმაციო ცენტრი		

პროგრამის მიზანი და აღწერა	მუნიციპალიტეტში მიმდინარე სხვადასხვა ღონისძიებების გაშუქება; ინფორმაციული უზრუნველყოფა; საზოგადოებასთან ურთიერთობა
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოსახლეობის საინფორმაციო უზრუნველყოფა

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2199,5 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათასი ლარი

ორგანიზა ციული კოდი	დასახელება	2024 წლის პროგნოზი			2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2341,4	0,0	2341,4	2401,0	2594,4	2804,9
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	974,1	0,0	974,1	951,6	1044,0	1139,5
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	295,3	0,0	295,3	313,6	345,0	379,5
06 01 02	ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონალური, ამბულატორიული და მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსების და თანადაფინანსების პროგრამა	561,3	0,0	561,3	550,0	600,0	650,0
06 01 03	მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსება	110,5	0,0	110,5	80,0	90,0	100,0
06 01 04	დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამა	7,0	0,0	7,0	8,0	9,0	10,0

06 02	სოციალური დაცვა	1367,3	0,0	1367,3	1449,4	1550,4	1665,4
06 02 01	მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა	407,0	0,0	407,0	448,0	493,0	542,0
06 02 02	მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარების პროგრამა	228,7	0,0	228,7	320,0	330,0	340,0
06 02 03	ბავშვებზე ზრუნვის პროგრამა	21,2	0,0	21,2	70,0	75,0	80,0
06 02 04	კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურება	11,4	0,0	11,4	18,7	18,7	18,7
06 02 05	აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია	127,6	0,0	127,6	100,0	110,0	120,0
06 02 06	ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა	43,5	0,0	43,5	36,0	37,0	38,0
06 02 07	სოციალური ადაპტაციისა და ძალადობისა მსხვერპლთა პროგრამა	52,9	0,0	52,9	45,0	45,0	50,0
06 02 08	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამა	115,8	0,0	115,8	140,0	150,0	160,0
06 02 09	სოციალური ღონისძიებების პროგრამა	42,8	0,0	42,8	65,0	70,0	75,0
06 02 10	თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარების პროგრამა	68,0	0,0	68,0	70,0	75,0	85,0
06 02 11	სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	109,6	0,0	109,6	0,0	0,0	0,0
06 02 12	დღის ცენტრ აიპ „ლაზარე-2015“ თანადაფინანსება	10,0	0,0	10,0	10,0	10,0	10,0
06 02 13	პროექტი „საქმიანობათა ცენტრი სენაკში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის“ თანადაფინანსება	39,3	0,0	39,3	36,7	36,7	36,7

06 02 14	პროექტი „ვიზრუნოთ ჩვენს უფროს თაობაზე“ თანადაფინანსება	89,5	0,0	89,5	90,0	100,0	110,0
----------	--	------	-----	------	------	-------	-------

ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებას.

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამა	2024 წლის დაფინანსება (ათასი ლარი)
	06 01 01		295,3
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი		
პროგრამის მიზანი და აღწერა	თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელება. პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან: 1. ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა). 2. მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი. 3. ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა; 4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.		

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე; ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება.
-------------------------------	--

პროგრამის დასახელება	კოდი	ჯანმრთელობა გაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის დაფინანსება და თანადაფინანსება	2024 წლის დაფინანსება (ათასი ლარი)
	06 01 02		561,3
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის დაფინანსებასა და თანადაფინანსებას, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. დახმარებით ისარგებლებენ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები წელიწადში ერთხელ, გამოწვევის დაიშვება მხოლოდ ონკოლოგიური პაციენტებისა და 18 წლამდე მოზარდების შემთხვევაში: ა) სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის (გარდა ესთეტიკური ქირურგიის და კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობის შემთხვევებისა) თანადაფინანსება: ბენეფიციარებს დახმარება გაეწევათ გადასახდელი თანხის 50 %-ით, მაგრამ არაუმეტეს 1000 ლარისა; 18 წლამდე მოზარდებისა და ონკოლოგიური პაციენტების შემთხვევაში დაფინანსება განხორციელდება სრულად, მაგრამ არაუმეტეს 1200 ლარისა. ბ) სამკურნალო-სარეაბილიტაციო მომსახურების თანადაფინანსებით ისარგებლებენ განვითარების დარღვევის ან ამ მხრივ რისკის მქონე 18 წლამდე ბავშვები. სამკურნალო მასაჟი, ვარჯიში, ფიზიო, მაგნიტო ულტრაბგერითი თერაპიებით ისარგებლებენ შშმ პირები და სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე 18 წლამდე მოზარდები. ბენეფიციარებს დახმარება გაეწევათ გადასახდელი თანხის 50 %-ით, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარისა (თითოეული ბენეფიციარის შემთხვევაში წლიური ლიმიტი 1000 ლარი, 2000 ლარს ზემოთ გადასახდელი თანხის შემთხვევაში შესაძლებელია წლიური ლიმიტის ერთიანად გამოყენება) გ) მაღალტექნოლოგიური კვლევების თანადაფინანსება (მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფია; კომპიუტერული ტომოგრაფია; პოზიტრონულ-ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფია): პროგრამით ისარგებლებენ სოციალურად დაუცველთა ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები 18 წლამდე. შშმ პირებს და ონკოლოგიურ პაციენტებს,		

	მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების დაფინანსება გაეწევით გადასახდელი თანხის 50 %-ით, მაგრამ არაუმეტეს 800 ლარისა. სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების მისაღებად თავად ბენეფიციარის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის მიერ მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს: განცხადება; განმცხადებლის პირადობის მოწმობის ქსეროასლი; სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო დოკუმენტაცია – ფორმა №100; ანგარიშ-ფაქტურა; კალკულაცია; მომართვა ჯანდაცვის მომსახურების სააგენტოდან, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამიდან ბენეფიციარის დაფინანსების ოდენობის შესახებ (აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენა აუცილებელი არ არის იმ შემთხვევაში, თუ სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემულ ანგარიშფაქტურაში ასახულია პაციენტის მიერ თანაგადასახდელი თანხა). შესაბამისი სამედიცინო მომსახურების გამწევი დაწესებულებიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ბენეფიციარზე წინასწარ გაიცემა წერილი დაფინანსების თაობაზე. გადაუდებელი სტაციონალური მომსახურების შემთხვევაში ბენეფიციარი ან მისი უფლებამოსილი პირი გაწერიდან 10 დღის ვადაში წარმოადგენს ბენეფიციარის პირადობის მოწმობას, შესრულებული სამედიცინო მომსახურების დამადასტურებელი სამედიცინო ფორმა N100; ანგარიშფაქტურა (კალკულაცია); მომართვა ჯანდაცვის სააგენტოდან, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამიდან ბენეფიციარის დაფინანსების ოდენობის შესახებ; ცნობა ან სხვა დოკუმენტი სამედიცინო დაწესებულებიდან (ხელშეკრულება, შეთანხმება) გადასახდელი თანხის დავალიანების (გადავადების) თაობაზე. ბენეფიციარის დაფინანსების შემთხვევაში მომსახურების გამწევი დაწესებულება წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტაციას, რის შემდეგაც მერის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განხორციელდება თანხის გადარიცხვა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ჯანმრთელობაგაუარესებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ფინანსური ხელშეწყობა.

პროგრამის დასახელება	კოდი	მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსება	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	06 01 03		110,5
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		

პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს: ა) სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახზე მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებას სამ თვეში ერთხელ 70 ლარის ფარგლებში. დახმარების მისაღებად თავად ბენეფიციარის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს: წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; მოზარდის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი; ანგარიშგაქტურა აფთიაქიდან; ფორმა N100 და ამონაწერი სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიან ბაზიდან. ბ) სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 100 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე საპენსიო ასაკის პირზე, რომელიც სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიან ბაზაში ფიქსირდება მარტოხელად ან მარტო მცხოვრებად, მედიკამენტოზური მკურნალობის საჭიროების შემთხვევაში დაფინანსებას სამ თვეში ერთხელ, 70 ლარის ფარგლებში. დახმარების მისაღებად თავად ბენეფიციარის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს: წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; ანგარიშგაქტურა აფთიაქიდან; ფორმა №100; ამონაწერი სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიანი ბაზიდან. ბ) ონკოლოგიურ პაციენტთა ქიმიოთერაპიული, იმუნოთერაპიული და ჰორმონოთერაპიული მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების თანადაფინანსებას გადასახდელი თანხის 50 %-ით, მაგრამ არაუმეტეს 1500 ლარისა. (500 ლარამდე ღირებულების მედიკამენტები დაფინანსდება სრულად) დახმარების მისაღებად თავად ბენეფიციარის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; ანგარიშგაქტურა აფთიაქიდან; ფორმა №100; გ) თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფ პაციენტთა მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების დაფინანსებას სამ თვეში ერთხელ, 100 ლარის ფარგლებში. დახმარების მისაღებად თავად ბენეფიციარის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს: წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; ანგარიშგაქტურა აფთიაქიდან; ფორმა №100; დ) შშმ პირებზე მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების, სამედიცინო სახარჯი მასალებისა და ჰიგიენური საშუალებების დაფინანსება სამ თვეში ერთხელ, 100 ლარის ფარგლებში; დახმარების მისაღებად თავად ბენეფიციარის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს: წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; ანგარიშგაქტურა აფთიაქიდან; ფორმა №100 და სსე აქტის ამონაწერი. ე) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირებზე და მათ შვილებზე მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების დაფინანსებას სამ თვეში ერთხელ, 70 ლარის ოდენობით.
-----------------------------------	---

	დახმარების მისაღებად თავად ბენეფიციარის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს: წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; მოზარდის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი; ანგარიშგაქტურა აფთიაქიდან; ფორმა №100 და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა მართხელა მშობლის სტატუსის თაობაზე. ვ) ვეტერანის სტატუსის მქონე პირთათვის საჭირო მედიკამენტების დაფინანსებას სამ თვეში ერთხელ, 100 ლარის ფარგლებში. დახმარების მისაღებად თავად ბენეფიციარის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; ანგარიშგაქტურა აფთიაქიდან; ფორმა N100; ვეტერანის დამადასტურებელი მოწმობის ასლი. ზ)უარყოფითი რეზუს ფაქტორის მქონე ორსულთათვის (ან როდესაც ორსულობა მთავრდება თვითნებითი ან ხელოვნური აბორტით) მედიკამენტ იმუნოგლობულინის დაფინანსება. დახმარების მისაღებად თავად ბენეფიციარის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს: წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; ანგარიშგაქტურა აფთიაქიდან; ფორმა №100. წარმოდგენილი დოკუმენტაციების საფუძველზე ბენეფიციარზე წინასწარ გაიცემა წერილი დაფინანსების თაობაზე. ბენეფიციარის დაფინანსების შემთხვევაში შესაბამისი სააფთიაქო დაწესებულება წარმოადგენს მედიკამენტების ბენეფიციარზე გაცემის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, რის შემდეგაც მერის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განხორციელდება თანხის გადარიცხვა შესაბამისი დაწესებულების საბანკო ანგარიშზე.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	დაავადებულთა მედიკამენტებით მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა. ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

პროგრამის დასახელება	კოდი	დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	06 01 04		7,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		

პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაწყებითი კლასების მოსწავლეების პროფილაქტიკურ გამოკვლევას, აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე უფრო გავრცელებული პათოლოგიების (ჰიპერაქტივობისა და ჰიპერკინეზების სინდრომი, თვალის პათოლოგია და სქოლიოზი) დროულ მკურნალობას და მათთან დაკავშირებული სხვა დაავადებების აღმოჩენას პრევენციის მიზნით. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სენაკის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო და კერძო სკოლის დაწყებითი კლასების პირველი და მეორე კლასის მოსწავლეები.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გაიზრდება მოზარდებისათვის ხელმისაწვდომობა აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე უფრო გავრცელებული პათოლოგიების პრევენციის მიზნით.

სოციალური დაცვა

პროგრამა ითვალისწინებს სოციალური რისკების პრევენციასა და კრიზისზე დროულ რეაგირებას მოწყვლადი ჯგუფებისა და პირების დაცვა-გამძლიერების მიზნით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებით უზრუნველყოფას, კერძოდ: მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მზრუნველობამოკლებული ნაწილის კვებით უზრუნველყოფას; კანონმდებლობით გათვალისწინებულ სარიტუალო მომსახურებას; ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისათვის სადღესასწაულო დღეებში დახმარებას; ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოქალაქეების დახმარებას; სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობას; ოჯახური ძალადობის მსხვეპლთა დაცვას; ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონარული, ამბულატორიული და მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებასა და თანადაფინანსებას; თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარებას; იშვიათი დაავადების მქონე პირთა დახმარებას; მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარებას; დედ-მამით ობოლ ბავშვებზე დახმარებას; სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვთა ხელოვნური საკვებით უზრუნველყოფას; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ხანდაზმულთა სოციალურ დახმარებას; აგვისტოს ომის დროს ომში დაღუპულის ოჯახზე და მშვიდობიან მოქალაქეებზე დახმარებას; სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საამშენებლო მასალებით დახმარებას. აღნიშნული პროგრამები მთლიანობაში უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროგრამის დასახელება	კოდი	მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	06 02 01		407,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრი		

პროგრამის მიზანი და აღწერა	ა(ა)იპ სენაკის მზუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის სასადილო ემსახურება სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებს ყოველდღიურად, დღეში ერთჯერადი ცხელი საკვებით. რაციონში შედის სამი დასახელების მზა საკვები. სისტემატიურად ხდება მოსარგებლე პირთა რაოდენობაში ცვლილებების შეტანა შემოსული განცხადებების საფუძველზე. მომსახურებით სარგებლობენ აგრეთვე მზრუნველობამოკლებული ოჯახები, მარტოხელა მოხუცები.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების შეჭირვებული მდგომარეობის შემსუბუქება, მათთვის სოციალური პირობების გაუმჯობესება.

პროგრამის დასახელება	კოდი	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	06 02 02		228,650
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა, მრავალშვილიანი ოჯახების გაძლიერება ოჯახში ბავშვის აღზრდისა და სრულფასოვანი განვითარებისთვის აუცილებელი პირობების უზრუნველსაყოფად, სიღარიბის დაძლევა და სიღარიბეში ჩავარდნის პრევენცია. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მრავალშვილიანი (4 და 4-ზე მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახების ყოველთვიური დახმარება თითოეულ ბავშვზე 50 ლარის ოდენობით). ოთხშვილიან ოჯახს, რომლის ერთ-ერთ შვილს საბიუჯეტო წლის განმავლობაში შეუსრულდება 18 წელი, დახმარება შეუნარჩუნდება მიმდინარე წლის ბოლომდე. დახმარების მისაღებად მრავალშვილიანმა (4 და 4-ზე მეტშვილიან 18 წლამდე ასაკის) ერთ-ერთმა მშობელმა (მეუღლემ, მზრუნველმა) მერიაში უნდა წარმოადგინოს: წერილობითი განცხადება; მშობლის პირადობის მოწმობის ასლი (გარდაცვლილის შემთხვევაში – გარდაცვალების მოწმობის ასლი); მეურვის (მზრუნველის) შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ გაცემული მეურვეობისა და მზრუნველობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და მეურვის (მზრუნველის) პირადობის მოწმობის ასლი; შვილების დაბადების მოწმობის ასლები; ამონაწერი საბანკო ანგარიშის შესახებ.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მრავალშვილიან ოჯახში ბავშვის აღზრდისა და სრულფასოვანი განვითარებისთვის აუცილებელი მინიმალური პირობების შექმნა. მრავალშვილიანი ოჯახებისათვის ყოველთვიური ფინანსური დახმარების გაწევა (100 მრავალშვილიანი ოჯახი)		

პროგრამის დასახელება	კოდი	ბავშვზე ზრუნვის პროგრამა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	06 02 03		21,210
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს: ა) დედამამით ობოლ ბავშვებზე (18 წლამდე) დახმარებას, კერძოდ, ყოველთვიურად ერთ ბავშვზე გაიცემა 300 ლარი (3 ბენეფიციარი); დახმარების მისაღებად დედ-მამით ობოლი ბავშვების მეურვემ მერიაში უნდა წარმოადგინოს: წერილობითი განცხადება; ბავშვის (ბავშვების) დაბადების მოწმობის ასლი (ასლები); ცნობა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობის და მხარდაჭერის სერვისების დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ცენტრიდან მეურვის ვინაობის შესახებ; მეურვის პირადობის მოწმობის ასლი. ამონაწერი საბანკო ანგარიშის შესახებ. ბ) იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ 18 წლამდე მოზარდთა დახმარება. პროგრამა ითვალისწინებს თითოეულზე ყოველთვიურად 200 ლარის გაცემას (6 ბენეფიციარი); დახმარების მისაღებად თავად ბენეფიციარის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; ფორმა №100 სამედიცინო დაწესებულებიდან, სადაც მითითებულია შესაბამისი სამედიცინო ჩვენება; ამონაწერი საბანკო ანგარიშის შესახებ. გ) ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა: ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბავშვიანი ოჯახი, რომელმაც „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2024 წლის სახელმწიფო პროგრამით“ გათვალისწინებული „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის შესახებ და არის მოლოდინის რეჟიმში მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბავშვის ხელოვნური საკვების დაფინანსებას ერთ გაცემაზე არაუმეტეს 120 ლარის ოდენობით. დახმარების მისაღებად ოჯახის კანონიერ წარმომადგენლის მიერ მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს განცხადება; განმცხადებლის პირადობის მოწმობის ქსეროასლი; ბავშვის დაბადების მოწმობა;მომართვა/ცნობა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობის და მხარდაჭერის სერვისების დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ცენტრიდან ბავშვთა ხელოვნური კვებით უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების		

	მისაღებად დარეგისტრირების თაობაზე; ანგარიშგაქტურა სააფთიაქო დაწესებულებიდან ხელოვნური საკვების მისაღებად. წარმოდგენილი დოკუმენტაციების საფუძველზე ბენეფიციარზე წინასწარ გაიცემა წერილი დაფინანსების თაობაზე. ბენეფიციარის დაფინანსების შემთხვევაში შესაბამისი სააფთიაქო დაწესებულება წარმოადგენს მედიკამენტების ბენეფიციარზე გაცემის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, რის შემდეგაც მერის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განხორციელდება თანხის გადარიცხვა შესაბამისი დაწესებულების საბანკო ანგარიშზე.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, სიღატაკეში ან/და კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება.

პროგრამის დასახელება	კოდი	კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურება	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	06 02 04		11,4
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურება, კერძოდ; გარდაცვლილი დევნილი მოქალაქის ოჯახზე - 300 ლარი; ომის ვეტერანის ოჯახზე - 300 ლარი. დახმარების მისაღებად გარდაცვლილი დევნილის მოქალაქის ოჯახის წევრის მიერ მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს: წერილობითი განცხადება; განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი; გარდაცვალების მოწმობის ასლი; გარდაცვლილი იძულებით გადაადგილებული პირის დევნილის მოწმობის ასლი; ამონაწერი საბანკო ანგარიშის შესახებ. ასევე, სხვა სახის დოკუმენტი განცხადების განმხილველი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში. დახმარების მისაღებად გარდაცვლილი ომის ვეტერანის ოჯახის წევრის მიერ მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს: წერილობითი განცხადება; გარდაცვლილი ომის ვეტერანის პლასტიკური ბარათის ქსეროასლი; ომის ვეტერანის გარდაცვალების მოწმობის ასლი; განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი. ასევე, სხვა სახის დოკუმენტი განცხადების განმხილველი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში. დახმარება გაიცემა სენაკის მუნიციპალიტეტის მერის სამართლებრივი აქტით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გარდაცვლილი ვეტერანის (ომის მონაწილე) და დევნილი ოჯახის წევრებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა		

პროგრამის დასახელება	კოდი	აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	06 02 05		127,594
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია შემეცნებითი, სოციალურ–ემოციური, სოციალური განვითარების, თვითმოვლისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. აღნიშნული ღონისძიება თავის მხრივ მოიცავს საჭიროების შემთხვევაში, მულტიდისციპლინური–ინტერდისციპლინური გუნდის, რამდენიმე სპეციალისტის მიერ, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად, კომპლექსური თერაპიის მიწოდებას, თვეში, არაუმეტეს 18 ინდივიდუალური სესიისა (მათ შორის: გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, საჭიროებისამებრ: კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია, სენსორული თერაპია, ფიზიკური თერაპია, არტთერაპია, მუსიკალური თერაპია. მათ შორის, ჯგუფური თერაპია და სხვა. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მომზადება. მათ შორის, შესაბამისი უნარ–ჩვევების განვითარება და სპეციფიკური ზრუნვის (სწავლება) და კონსულტირება ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით. ქვეპროგრამით განსაზღვრული თითოეული ინდივიდუალური სესიის ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 1 საათს. გაწეული მომსახურება ანაზღაურდება თითოეულ ბენეფიციარზე 350 ლარის ოდენობით. პროგრამის ფარგლებში მომსახურების მიღება შეუძლიათ 2–18 წლამდე ბენეფიციარებს, რომლებიც არიან შეფასებული შესაბამისი ინსტრუმენტით და აქვთ დიაგნოზი: F84.0 – ბავშვთა აუტიზმი, ან F84.9 – განვითარების ზოგადი, აშლილობა დაუზუსტებელი. დახმარების მისაღებად მშობლის/კანონიერ წარმომადგენლის მიერ მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს: განცხადება; განმცხადებლის პირადობის მოწმობის ქსეროასლი; ბავშვის დაბადების მოწმობა; ADOS-2 (შეფასების დასკვნა); ფორმა №100 (სადაც მითითებულია შესაბამისი დიაგნოზი F84.0–ბავშვთა აუტიზმი, ან F84.9 - განვითარების ზოგადი, აშლილობა დაუზუსტებელი)		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	აუტიზმის სპექტრის მქონე მოზარდთა ფინანსური დახმარება		

პროგრამის დასახელება	კოდი	ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	06 02 06		43,5

პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარება, კერძოდ: სრული ზარალის შემთხვევაში ერთ ოჯახზე 4000 ლარის, ხოლო ნაწილობრივი ზარალის შემთხვევაში 1500 ლარის ოდენობით დახმარების მისაღებად დაზარალებულმა მოქალაქემ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს: წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; აქტი ხანძრის შესახებ გაცემული შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს ქ. სენაკის სახანძრო-სამაშველო განყოფილების მიერ. ასევე, სხვა სახის დოკუმენტი განცხადების განმხილველი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში. დახმარება გაიცემა სენაკის მუნიციპალიტეტის მერის სამართლებრივი აქტით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დასკვნის საფუძველზე.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება		

პროგრამის დასახელება	კოდი	სოციალური ადაპტაციისა და ძალადობის მსხვერპლთა პროგრამა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	06 02 07		52,9
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	ა) სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 18 წლამდე მზრუნველობამოკლებული ბავშვის სტატუსის მქონე პირები, რომელთაც მიაღწიეს სრულწლოვანების ასაკს და ვერ იქნენ რეინტეგრირებული ბავშვთა საადმინისტრაციო დაწესებულებიდან, „მინდობით აღზრდისა“ და „მცირე საოჯახო ტიპის სახლის“ მომსახურებებიდან: დახმარება გაიცემა ყოველთვიურად 400 ლარის ოდენობით საბიუჯეტო წლის განმავლობაში (დახმარება გაიცემა 30 წლამდე პირებზე); ბ) ავარიული და საცხოვრებლად საშიში შენობებიდან გამოყვანილი, სხვადასხვა მიზეზით (საცხოვრებელი სახლი დაინგრა, დაიწვა ან საცხოვრებლად უვარგისია, ავარიულია ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში გახდა სტიქიური უბედურების, უბედური შემთხვევის ან სხვა გარემოების შედეგად) უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახები, რომელთაც ესაჭიროებათ ალტერნატიული საცხოვრებელი ფართები (ბინის ქირის ასანაზღაურებელი კომპენსაცია): კომპენსაციის მიღების უფლება აქვს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იმ პირს, რომელსაც საკუთრებაში ან მფლობელობაში გააჩნია სენაკის		

05 01 02	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	8,6	19,1	0,0	19,1	5,0	0,0	5,0
05 01 03	სპორტულ ღონისძიებათა პროგრამა	0,0	28,0	0,0	28,0	28,0	0,0	28,0
05 01 04	სპორტული ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა	172,2	774,2	360,6	413,6	3,0	0,0	3,0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	596,4	545,4	260,0	285,4	513,0	0,0	513,0
05 02 01	მოსწავლე- ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	46,4	27,0	0,0	27,0	27,0	0,0	27,0
05 02 02	ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების ხელშეწყობის პროგრამაში	0,0	1,9	0,0	1,9	0,0	0,0	0,0
05 02 04	კულტურული ღონისძიებების პროგრამა	126,4	256,6	0,0	256,6	250,0	0,0	250,0
05 02 05	კულტურის ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა	423,6	260,0	260,0	0,0	236,0	0,0	236,0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	11,5	16,9	0,0	16,9	8,7	0,0	8,7
06 02	სოციალური დაცვა	11,5	16,9	0,0	16,9	8,7	0,0	8,7
06 02 01	მზრუნველობამოკლებულ თა კვებით უზრუნველყოფა	11,5	16,9	0,0	16,9	8,7	0,0	8,7
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	19477,7	19108,8	13993,2	5115,6	4230,6	110,5	4120,1

ბ) განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 600,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ათასი ლარი

დასახელება	2023 წლის ფქტი	2024 წლის გეგმა	2025წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	364,0	600,0	600,0
ძირითადი აქტივები	58,6	200,0	200,0
არასაცხოვრებელი შენობები	58,6	200,0	200,0
ფასეულობები	0,0	0,0	0,0
არაწარმოებული აქტივები	275,0	400,0	400,0
მიწა	305,4	400,0	400,0

მუხლი 9 . ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4913,6	5683,4	0,0	5683,4	6530,5	0,0	6530,5
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4843,5	5620,9	0,0	5620,9	6469,5	0,0	6469,5
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4843,5	5619,2	0,0	5619,2	6369,5	0,0	6369,5

70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	1,7	0,0	1,7	100,0	0,0	100,0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	70,1	62,5	0,0	62,5	61,0	0,0	61,0
702	თავდაცვა	118,3	1,6	0,0	1,6	0,0	0,0	0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	10996,4	8702,0	8218,8	483,2	221,7	0,0	221,7
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	11,6	43,4	0,0	43,4	43,4	0,0	43,4
70421	სოფლის მეურნეობა	11,6	43,4	0,0	43,4	43,4	0,0	43,4
7045	ტრანსპორტი	10947,3	8548,6	8218,8	329,8	48,3	0,0	48,3
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	10947,3	8548,6	8218,8	329,8	48,3	0,0	48,3
7047	ეკონომიკის სხვა დარგები	37,5	110,0	0,0	110,0	130,0	0,0	130,0
70473	ტურიზმი	37,5	110,0	0,0	110,0	130,0	0,0	130,0
705	გარემოს დაცვა	1391,1	2007,0	0,0	2007,0	2207,0	0,0	2207,0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	933,6	1337,0	0,0	1337,0	1507,0	0,0	1507,0
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	457,6	670,0	0,0	670,0	700,0	0,0	700,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	10680,4	11649,7	5510,4	6139,3	5696,3	110,5	5585,8
7061	ბინათმშენებლობა	200,3	703,7	0,0	703,7	17,6	0,0	17,6
7064	გარე განათება	1210,6	1553,6	0,0	1553,6	2133,6	0,0	2133,6
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო- კომუნალურ მეურნეობაში	9269,4	9392,4	5510,4	3882,0	3545,1	110,5	3434,6
707	ჯანმრთელობის დაცვა	869,6	970,1	0,0	970,1	1057,1	0,0	1057,1
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	260,7	295,3	0,0	295,3	429,1	0,0	429,1

7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	608,9	674,7	0,0	674,7	628,0	0,0	628,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	3769,2	4719,7	620,6	4099,1	4276,1	0,0	4276,1
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1331,8	2180,7	360,6	1820,1	1579,5	0,0	1579,5
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	2273,2	2377,0	260,0	2117,0	2546,6	0,0	2546,6
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	50,0	52,0	0,0	52,0	55,0	0,0	55,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	100,0	50,0	0,0	50,0	50,0	0,0	50,0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	14,3	60,0	0,0	60,0	45,0	0,0	45,0
709	განათლება	3668,0	4622,6	889,1	3733,5	4081,7	0,0	4081,7
7091	სკოლამდელი აღზრდა	2721,7	3578,0	0,0	3578,0	3926,2	0,0	3926,2
7092	ზოგადი განათლება	866,4	949,1	889,1	60,0	0,0	0,0	0,0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	866,4	949,1	889,1	60,0	0,0	0,0	0,0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	79,9	95,5	0,0	95,5	155,5	0,0	155,5
710	სოციალური დაცვა	1113,8	1371,4	0,0	1371,4	1587,6	0,0	1587,6
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	119,0	125,4	0,0	125,4	124,4	0,0	124,4
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	119,0	125,4	0,0	125,4	124,4	0,0	124,4
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	261,2	250,8	0,0	250,8	305,0	0,0	305,0

7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	733,6	995,1	0,0	995,1	1158,2	0,0	1158,2
------	--	-------	-------	-----	-------	--------	-----	--------

მუხლის 10. საოპერაციო და მთლიანი სალდო

ათასი ლარი

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავ ლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავ ლები
III. საოპერაციო სალდო	12481,2	15545,8	13787,1	1758,7	3571,4	0,0	3571,4
V. მთლიანი სალდო	2863,7	-2963,0	-206,0	-2757,0	-59,2	-110,5	51,3

მუხლის 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს -110,5 ათასი ლარით.

ათასი ლარი

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლე ბი		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარ ი შემოსავლ ები
ფინანსური აქტივების ცვლილება	2812,3	-3014,4	-206,0	-2808,3	-110,5	-110,5	0,0
ზრდა	2812,3	0,0	0,0		0,0	0,0	
ვალუტა და დეპოზიტები	2812,3	25,0			0,0		
კლება	0,0				0,0	0,0	0,0

ვალუტა და დეპოზიტები		3014,4	206,0	2808,3	110,5	110,5	0,0
----------------------	--	--------	-------	--------	-------	-------	-----

მუხლის 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 51,322 ათ.ლარის ოდენობით.

აღნიშნული გათვალისწინებულია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვის მიზნით.

ათასი ლარი

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ვალდებულებების ცვლილება	-51,3	-51,3	0,0	-51,3	-51,3	0,0	-51,3
კლება	51,3	51,3	0,0	51,3	51,3	0,0	51,3
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	51,3	51,3	0,0	51,3	51,3	0,0	51,3

თავი II. სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას განეკუთვნება მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. შესაბამისად, ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს გზების რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, რაც ხელს შეუწყობს ტურიზმის, მრეწველობისა და სხვა დარგების განვითარებას.

ათასი ლარი

დასახელება	2025 წლის გეგმა		2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
	სულ	მათ შორის			

ორგანიზაციული კოდი			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	5918,0	110,5	5807,5	6737,0	7480,1	8266,7
02 01	გზების რეკონსტრუქცია და მოვლა- შენახვა	48,3	0,0	48,3	0,0	0,0	0,0
02 02	გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2133,6	0,0	2133,6	2342,0	2575,6	2832,5
02 03	ბინათმშენებლობა	17,6	0,0	17,6	0,0	0,0	0,0
02 04	სოფლის მეურნეობის ღონისძიებები	43,4	0,0	43,4	44,7	46,7	49,4
02 05	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	1400,0	0,0	1400,0	1538,5	1690,9	1858,4
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	889,6	0,0	889,6	1301,9	1406,9	1512,3
02 07	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	191,0	0,0	191,0	250,0	280,0	315,0
02 08	სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია	110,5	110,5	0,0	0,0	0,0	0,0
02 09	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	130,0	0,0	130,0	150,0	180,0	200,0
02 10	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
02 11	სამოქალაქო ბიუჯეტი	100,0	0,0	100,0	200,0	300,0	400,0
02 12	რეგიონული განვითარების ფონდის თანადაფინანსება	854,0	0,0	854,0	910,0	1000,0	1099,0

პროგრამის დასახელება	კოდი	გზების რეკონსტრუქცია და მოვლა- შენახვა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
----------------------	------	--	----------------------------------

	02 01	48,3
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური	
პროგრამის აღწერა	გზების რეკონსტრუქცია მოვლა-შენახვის სამუშაოები სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მიმდინარეობს. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას და მიმდინარე შეკეთებას. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის ქუჩების ორმული შეკეთების სამუშაოები. ასევე, გათვალისწინებულია სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული თანხის 2,5%-ის დაფარვა.	
მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ადამიანების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და შეუფერხებელი გადაადგილება.	

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02		2133,6
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი“		
პროგრამის აღწერა	დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის განათების მომსახურება და გარე განათების სისტემის განვითარება და ექსპლოატაცია. გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული ხასიათის, ასევე - მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი - გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას (მ.შ. მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას). მუნიციპლიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი მოიცავს 8000 ბოძს, ამდენივე სანათს. არსებული მდგომარეობით მუნიციპალიტეტში გარე განათების სერვისი მიეწოდება ქალაქში მოსახლეობის 95% და სოფლად 40%. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება გარე-განათების წერტილების(ქუჩები, მოედნები, პარკები) განათების სამუშაოები და ელ. ენერგიის ქსელში ჩართვა. პროგრამის ფარგლებში 2025 წელს ქალაქის შიდა ქუჩებში (დაახლოებით 10 ქუჩა) დაგეგმილია არსებული ძველი სანათები (პლასმასის კორპუსით) ჩანაცვლდეს ახალი ლედ ნათურებით. უსაფრთხოებისა და ეკონომიის გათვალისწინებით 2023 წლიდან დაიწყო და 2025 წლის ბოლომდე ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ მინი სტადიონებზე (15 ერთეული) შეიცვლება არსებული		

	განათება მზის ენერგიაზე მომუშავე ლედ დიოდური სანაით. 2025 წელს სრულად მოხდება მუნიციპალიტეტში არსებული ყველა მინი სტადიონის გადაყვანა მზის ენერგიაზე მომუშავე ლედ. დიოდურ სანათზე.
მოსალოდნელი მიზანი და შედეგი	-განათებული ქალაქისა და სოფლის გზები. -მოსახლეობისათვის უსაფრთხო და კომფორტული გარე-განათების სისტემა - ელ. ენერგიის ხარჯის ეკონომია

პროგრამის დასახელება	კოდი	ბინათმშენებლობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 03		17,6
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	ქალაქის ტერიტორიაზე არსებული კორპუსის რეაბილიტაცია. გათვალისწინებულია სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული თანხის 2,5%-ის დაფარვა.		
მოსალოდნელი მიზანი და შედეგი	ქალაქის იერსახის გაუმჯობესება		

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მეურნეობის ღონისძიება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 04		43,4
პროგრამის განმახორციელებელი ბელი სამსახური	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახური		

პროგრამის აღწერა	• პროგრამა „სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართული ქალებისა და ახალგაზრდების ხელშეწყობა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მიზნით“- საგრანტო კონკურსი. სოფლის მეურნეობაში არსებული საჭიროებების კვლევის საფუძველზე მოხდება განაცხადების მიღება და ფერმერთა საჭიროებების ტექნიკური დახმარების გაწევა. პროგრამის მიზანია ფერმერი ქალებისა და ახალგაზრდების ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა. • პროგრამა „აგრო ტური“ - ფერმერების, მცირე მეწარმეებისა და ადმინისტრაციული ერთეულების სპეციალისტებისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში დანერგილი თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ახალი სტანდარტების გაცნობა პრაქტიკაში დანერგვის მიზნით. • ყველის-ფესტივალი - აგრარულ სექტორში ჩართული ფერმერების, კოოპერატივებისა და მცირე საწარმოების გაცნობა, მათ მიერ წარმოებული პროდუქციის პოპულარიზება, ცნობადობის გაზრდა და ხელშეწყობა. • სასოფლო სამეურნეო სავარგულების მიმდებარედ ქარსაფარი ზოლის მოწყობა - კლიმატნიტრალური გარემოს შექმნის მიზნით სასოფლო სამეურნეო სავარგულების მიმდებარედ ქარსაფარი ზოლების მოწყობა, რომელიც დაიცავს ნათეს და ნარგავ ფართობებს ძლიერი ქარისგან, რაც ხელს შეუწყობს ტერიტორიის გამწვანებას და მეტი ჟანგბადის მიღებას. • პროექტი „მოარგე ტექნოლოგია შენს ბიზნესს“ - ადგილობრივი მეწარმეებისა და ფერმერების გაძლიერება ინოვაციურ ტექნოლოგიებთან ხელმისაწვდომობით. სტარტაპ ეკოსისტემის შექმნა, რაც ითვალისწინებს ინოვაციური აზროვნების ფორმირებას, მათ საქმიანობაში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ინტეგრირებას და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდას. პროექტი განხორციელდება სენაკის ტექნოპარკში სადაც მენტორებთან ერთად იმუშავენ ბიზნეს იდეების დახვეწაზე და საბოლოოდ წარადგენენ სტარტაპ იდეებს ჟიურის წინაშე. დღის განმავლობაში იმუშავენ სამეწარმეო მიმართულებით და პროტოტიპის შექმნაზე, რაც საშუალებას მისცემს დახვეწონ პროდუქტები და მიიღონ მენტორის უკუკავშირი, სამომავლოდ კი გაზარდონ შემოსავლები საკუთარი სამეწარმეო საქმიანობიდან და მიიღონ თამამი და კრეატიული გადაწყვეტილებები ბიზნესის მართვის პროცესში. 7 დღიანი ინტენსიური ტრენინგის შემდეგ თითოეულ მონაწილეს, ერთი დღის განმავლობაში ექნება ინდივიდუალური მენტორინგის სესია, სადაც ისინი იმუშავენ მათი ბიზნესების ინოვაციურობაზე, კონკურენტუნარიანობის გაზრდაზე, საბოლოოდ კი დემო დღეზე სპეციალურად შერჩეულ კომისიის წევრებს წარუდგენენ ინოვაციურ იდეას ან/და პროტოტიპს. პროექტის ფარგლებში მონაწილეებმა, უნდა განავითარონ მათი არსებული ბიზნესები და შექმნან კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე სტარტაპ იდეები. • „მერების შეთანხმების ფარგლებში „მდგრადი ენერგეტიკის კვირეულის ორგანიზება. • სოფლად მცხოვრები მოსახლეობის და საბავშვო ბაღების უზრუნველყოფა ენერგო ეფექტური ღუმელებითა და მზის წყალ გამაცხელებლებით. • კლიმატის ცვლილების ღონისძიებები: პროექტი Climate Senaki- Innovate for climate action. ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება გარემოსდაცვითი ინჟინერიის და მწვანე ტექნოლოგიების მიმართულებებით, მათი ხელშეწყობა ეკომეგობრული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.
მოსალოდნელი მიზანი და შედეგი	სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული ქალებისა და ახალგაზრდების ხელშეწყობა; კლიმატის ცვლილების შემარბილებელი ღონისძიების გატარება სოფლის მეურნეობის სექტორში, ქარისგან დაცული ნათესი ფართობები; ადგილობრივი სპეციალისტებისა და ფერმერების კვალიფიკაციის დონის ამაღლება, მათთვის სამეწარმეო საქმიანობაში არსებული თანამედროვე მიდგომების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით; მ„მდგრადი ენერგეტიკის კვირეულის“ ფარგლებში ენერგოეფექტურობისა და მდგრადი ენერგეტიკის საკითხებზე ცნობიერების ამაღლება; ბაღის აღსაზრდელების და თანამშრომლებისათვის ჯანსაღი, კომფორტულ გარემოს შექმნა და ენერგოდანახარჯები შემცირდება.

პროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 05		1400,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება: მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს, პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით; მრავალწლიანი შესყიდული პროექტების და ექსპერტიზის მომსახურების დაფინანსება.		
მოსალოდნელი მიზანი და შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადდება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს.		

პროგრამის დასახელება	კოდი	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 06		889,580
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		

პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები; საგზაო ნიშნების განთავსება და გადასასვლელებისა და ფეხით მოსიარულეთათვის ტროტუარების მოწყობა; მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია; სახიდე გადასასვლელების, ხიდ-ბოგიერებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: სენაკი-ფოთი; სენაკი-ხობი; სენაკი-მარტვილი; სენაკი-აბაშა; სენაკი-ჩხოროწყუს საავტომობილო გზებზე არსებული ფირნიშების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია; 12 მეტრიანი 1 ერთეული ამწე კალათის შესყიდვა; მრავალწლიანი დავალიანების დაფარვა (ავტობუსის შესყიდვა); ვიდეოსამეთვალყურეო კამერების მომსახურების დავალიანების დაფარვა; ასევე, გათვალისწინებულია სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული თანხის 2,5%-ის დაფარვა.
მოსალოდნელი მიზანი და შედეგი	ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარება

პროგრამის დასახელება:	კოდი	სასაფლაოების მოვლა-პატრონობის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 07		191,0
პროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი“		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 103 სასაფლაოს მოვლა-პატრონობა. პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრის“ შესაბამისი განყოფილება უზრუნველყოფს: - სასაფლაოების შესასვლელი ჭიშკრებისა და ღობის დაზიანებული მონაკვეთების შეკეთება და შეღებვას; - სასაფლაოების მისასვლელი გზებისა და შიდა ბილიკების გაცეღით და შეწამვლით სამუშაოების შესრულებას; სამარხისათვის გამოყოფილ მიწის ფართობზე სასაფლაო მომსახურების საფასურისა და საფლავზე მიცვალებულის დაკრძალვის რეგისტრაციის საფასურის ადმინისტრირებას, როგორც ქალაქად ასევე სოფლად		
მოსალოდნელი მიზანი და შედეგი	- შეღებილი და შეკეთებული ჭიშკრები და ღობეები - კმაყოფილი მოსახლეობა. -გაცედილი და შეწამლული სასაფლაოების მისასვლელი გზები		

პროგრამის დასახელება:	კოდი	სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	02 08		110,5
პროგრამის განმახორციელებელი:	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	გათვალისწინებულია სტიქიის შედეგად დაზარალებული ინფრასტრუქტურის აღდგენის სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული თანხის 2,5%-ის დაფარვა.		
მოსალოდნელი მიზანი და შედეგი	მოსახლეობის კმაყოფილების დონის ამაღლება და განახლებული ინფრასტრუქტურა		

პროგრამის დასახელება:	კოდი	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 09		130,0
პროგრამის განმახორციელებელი:	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	სენაკის მუნიციპალიტეტის ტურისტული რუკის დამზადება/მონტაჟი (ზომით 3 მეტრი/2 მეტრზე, ღამის განათებით, ვანდალიზმისგან დაცული სპეციალური შუშით) სენაკის მუნიციპალიტეტის ციფრული გზამკვლევი - პროექტი გულისხმობს რუკის ელექტრონული ვერსიის მომზადებას, ჩაწერილი სპეციალურ "თაჩ სკრინ" მონიტორზე, სადაც განთავსებული იქნება სენაკის ისტორიულ, არქიტექტურულ, რელიგიურ, კულტურულ და ტურისტულ ობიექტებზე სრული ინფორმაცია და ფოტო/ვიდეო მასალა, ასევე ინფორმაცია ბუნების ძეგლებსა და ღირსშესანიშნაობებზე - განთავსდება ქალაქში, ცენტრალურ ადგილას. მნიშვნელოვანი ტურისტული ობიექტებისათვის სპეციალური საინფორმაციო/QR დაფების დამზადება და განთავსება მიმდებარედ.		

	საკალანდარიშვილოს ციხის გაწმენდა/განათების დამონტაჟება. ციხემდე მისასვლელი საფეხმავლო ბილიკის მომზადება და მოწყობა. სენაკის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის/ეროვნული მნიშვნელობის სტატუსის მატარებელ ობიექტებზე „ძეგლის პასპორტის“ მომზადება, სადაც იქნება აღწერილი სრული ინფორმაცია არსებული ობიექტების მდგომარეობის შესახებ, ასევე ფოტო-ვიდეო მასალა და სამომავლო ხედვა. - ვებ-გვერდის მარკეტინგული მომსახურება: - დანიშნულების მართვის ორგანიზაციის ხელშეწყობა: დმო-ს დანიშნულებაა სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონის ტურიზმის პოპულარიზაცია.
მოსალოდნელი მიზანი და შედეგი	ტურიზმის ხელშეწყობა და განვითარება; ტურისტული პოტენციალის გაზრდა

პროგრამის დასახელება	კოდი	სამოქალაქო ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 11		100,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამის აღწერა: 1. პროგრამით ყოველწლიურად განსახორციელებელი ადგილობრივი მნიშვნელობის პროექტის რაოდენობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით და განხორციელდება ისეთი პროექტი, რომელიც შერჩეული იქნება მოსახლეობის მიერ მათ მიერვე წარმოდგენილი პროექტების სიიდან. 2. სამუშაო ჯგუფმა, შესაძლებელია, მუნიციპალიტეტის მერს მიმართოს წინადადებით მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით დადგენილი დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობაზე მეტით დაფინანსების წინადადებით. დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობის გაზრდის გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია მხოლოდ კენჭისყრის ეტაპის დაწყებამდე. 3. პროგრამის განხორციელების ეტაპები განისაზღვრება მერის შესაბამისი ბრძანებით.		
მოსალოდნელი მიზანი და შედეგი	საბოლოო მიზანია გაიზარდოს მოქალაქეთა ჩართულობა საჯარო ფინანსების მართვის საქმეში და გაიზარდოს მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობის ეფექტურობა განსახორციელებელი პროექტების ადგილობრივი მოსახლეობის პრიორიტეტების შესაბამისად შერჩევის გზით.		

პროგრამის დასახელება	კოდი	რეგიონული განვითარების ფონდის თანადაფინანსება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 12		854,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
მოსალოდნელი მიზანი და შედეგი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება რეგიონული განვითარების ფონდიდან გამოყოფილი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება.		
პროგრამის აღწერა	ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარება		

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, უმეტესაღეს დარჩენილი ცხოველების იზოლაცია.

ათასი ლარი

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა			2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2207,0	0,0	2207,0	2742,0	2874,0	3096,0
03 01	ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები, ნარჩენების გატანა	1507,0	0,0	1507,0	1852,0	1954,0	2106,0
03 02	ქალაქის მწვანე საფარის შექმნის, მოვლა-პატრონობის და კეთილმოწყობის პროგრამა	680,0	0,0	680,0	870,0	900,0	970,0

03 03	უმეტესწილად დარჩენი ცხოველების იზოლაცია	20,0	0,0	20,0	20,0	20,0	20,0
-------	---	------	-----	------	------	------	------

პროგრამის დასახელება	კოდი	ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები, ნარჩენების გატანის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 01		1507,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი“		
პროგრამის მიზანი და აღწერა	დასუფთავების კუთხით, პროგრამა გულისხმობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების უზრუნველყოფას, რაც თავის მხრივ მოიცავს სკვერების, ბაღების, ქუჩებისა და ტროტუარების დაგვას, ნაგვის ურნებში მოთავსებას და ნარჩენების გატანას. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტს ემსახურება 34 მეეზოვე, 6 მუშა-მეეზოვე, 22 მტვირთავი, რომლებიც ყოველდღიურად ასუფთავებენ 10 ჰა. ფართობს. წელიწადში ხორციერდება დაახლოებით 8000 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა. მუნიციპალიტეტში განთავსებულია 625 ურნა. ქალაქის ტერიტორიაზე ჩანაცვლებული და დამატებულია ახალი ურნები. გარემონტებულია 60 ურნა. საჭიროება მოითხოვს დაემატოს ახალი ურნები 250 ერთეულამდე. 2025 წლიდან იგეგმება ნარჩენების სეპარირება, რაც გამოიწვევს ნარჩენების რაოდენობის შემცირებას. ამისათვის დამატებით საჭიროა 400 ურნა, დაახლოებით 1100 წერტილზე, რათა განცალკავდეს და ცალკე-ცალკე შეგროვდეს ქაღალდის, მუყაოს, მინის, ლითონისა და პლასმასის ნარჩენები. 2025 წლიდან პროგრამის ფარგლებში ემატება 6 ღამის ცვლის მუშა-მეეზოვე, რომლებიც უზრუნველყოფენ ქალაქში ნარჩენების მართვას. ამ ეტაპზე დასუფთავების მოსაკრებელის ამოღება ხდება იურიდიული პირებისაგან საკრებულოს მიერ დადგენილი ტარიფის შესაბამისად. პროგრამის ფარგლებში 2025 წლის იგეგმება მოსახლეობიდან მოსაკრებელის ამოღება.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	- დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება, - ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემო. - კმაყოფილი მოსახლეობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ქალაქის მწვანე საფარის შექმნის, მოვლა-პატრონობის და კეთილმოწყობის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
----------------------	------	--	----------------------------------

	03 02	680,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი“	
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალი ხეების, ყვავილების და სხვადასხვა ნარგავების დარგვა, არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა პატრონობა. ხეების გადაბეღვა და შეთეთრება, რათა შენარჩუნებული იქნეს და გაუმჯობესდეს ქალაქის იერსახე და ეკოსისტემა. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკების განახლება ახალი სხვადასხვა ჯიშის ხე მცენარეებით. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის გამწვანება და გამწვანებულ ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა, რის შედეგადაც მიღებული იქნება გამწვანებული და ეკოლოგიურად სუფთა გარემო. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების, ღელეების გაწმენდა, არსებული სანიაღვრე სისტემების მოვლა-პატრონობა, ქალაქის გზისპირა გვერდულებზე ბორდიურების შეღებვა, ფეხის სავალი ნაწილის დაზიანებული ფილების აღდგენა, სკვერებსა და პარკებში დაზიანებული სკამების შეკეთება, საცხოვრებელი კორპუსებიდან წყლის ამოტუმბვა, ლითონის მუაჯირების შეღებვა, სანათი ლითონის ბოძების შეღებვა. პროგრამის ფარგლებში 2025 წლიდან დაგეგმილია დამატებით ნაგვის ბუნკერებისთვის უბეების მოწყობა რკინა-ბეტონით.	
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	-გამწვანებული და ეკოლოგიურად სუფთა გარემო. -გაწმენდილი სანიაღვრე არხები -შეღებილი ბორდიურები,მოაჯირები, ლითონის ბოძები. -რკინა ბეტონით მოწყობილი ნაგვის ბუნკერების უბეები. -აღდგენილი დაზიანებული ფილები -შეკეთებული სკამები.	

პროგრამის დასახელება	კოდი	უმეტავალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 02		20, 0

პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის და ქონების მართვის სამსახური
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხორციელდება სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებში არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა / ლაბორატორიული შემოწმება და სათანადო პროცედურების ჩატარება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ამ მიმართულებით პრევენციული ღონისძიებების გატარება და მიუსაფარი ცხოველების რიცხვის შემცირება

მუხლი 15. განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

ათასი ლარი

ორგანიზა ციული კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა			2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
04 00	განათლება	4081,7	0,0	4081,7	4484,8	4942,2	5447,7
04 01	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის პროგრამა	3926,2	0,0	3926,2	4318,8	4750,7	5225,8
04 02	საჯარო სკოლების დაფინანსება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
04 04	განათლების ღონისძიებების პროგრამა	105,5	0,0	105,5	115,5	130,5	150,5
04 06	სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა	50,0	0,0	50,0	60,0	70,0	80,0

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 01		3926,2
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება”		
პროგრამის მიზანი და აღწერა	„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის თანახმად ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. სენაკის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები საბავშვო ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 27 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 883 ბავშვი. ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 110 აღმზრდელი, 241 სხვა პერსონალი და ადმინისტრაცია. სულ 351 თანამშრომელი. „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია: ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დადგენილი მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან და HACCP სისტემით დადგენილ ნორმებთან; ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან; ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა; ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ა(ა)იპ - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა, მათი ეტაპობრივი გადამზადება, საგანმანათლებლო რესურსით მომარაგება.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება საქართველოს მოქმედი კანმდებლობით დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; ბაღების ავტორიზაციის პროცესისათვის მზადება,ყველა ბაღის თვითშეფასების პროცესის განხორციელება; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის		

	გაერთიანებაში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით; მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების მომსახურებით წლის განმავლობაში სარგებლობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 883 შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 92%-ს შეადგენს.
--	--

პროგრამის დასახელება	კოდი	განათლების ღონისძიებების პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 04		105,5
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	ინტელექტუალური და შემეცნებით, თეატრალური, კლასიკური მუსიკის პროექტების დაფინანსება და თანადაფინანსებას; სხვადასხვა შემეცნებით და საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას; საგანმანათლებლო ექსკურსიებში მონაწილეობას; სახელოვნებო სფეროში მაღალი რანგის პროფესიონალი სპეციალისტების მოწვევას და მასტერ კლასების ჩატარებას; კლასიკური, ხალხური, თეატრალური ფესტივალების გამართვას; სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, შემეცნებით, პროფესიულ, სადღესასწაულო დღეებზე, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და საგანმანათლებლო სფეროში ფულადი ჯილდოებით, სხვადასხვა პრიზითა და ფასიანი საჩუქრით წახალისებას; საცნობარო ბუკლეტებისა და სიგელების დამზადებას; ხელოვნებისა და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე ადამიანებთან შეხვედრას და საიუბილეო სადამოების მოწყობას; გამოჩენილი ადამიანების ხსოვნის სადამოების მოწყობას.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პროგრამის განხორციელების შედეგად დაფინანსდება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტი, შესაძლებელი იქნება წარმატებული მოსწავლეების წახალისება. მოზარდთა ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა. მათი პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა და ეროვნული ცნობიერების ამაღლება; საგანმანათლებლო ღონისძიებებზე ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა. თეატრალური, კლასიკური და საგუნდო მუსიკის პოპულარიზაცია და ხელოვნების ამ დარგით მოზარდი თაობის დაინტერესება		

პროგრამის დასახელება	კოდი	სტუდენტების დაფინანსების პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 06		50,0
პროგრამის			

განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი ოჯახების (სარეგისტრაციო ქულა 70 000-ზე ნაკლებია) სტუდენტებზე, ასევე დედ-მამით ობოლ ახალგაზრდა სტუდენტებზე, რომლებიც სწავლობენ აკრედიტირებულ უმაღლეს/პროფესიულ სასწავლებლებში და არ არიან ჩართული დაფინანსების არცერთ სახელმწიფო პროგრამაში, ფინანსური დახმარების გაწევას.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ახალგაზრდებში სწავლის გადასახადის ფინანსურ ხელშეწყობას და დახმარებას, მათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას და ხარისხის გაუმჯობესებას.

მუხლი 16. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების მიმართულებით აუცილებელია ხელი შევუწყოთ კულტურული ტრადიციების დაცვას და მის ღირსეულ გაგრძელებას.

ათასი ლარი

ორგანიზა ციული კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა			2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლე ბი			
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	4276,1	0,0	4276,1	4238,8	4402,4	4785,2
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1579,5	0,0	1579,5	1737,2	1901,8	2079,9
05 01 01	სპორტის ხელშეწყობის ღონისძიებათა პროგრამა	930,0	0,0	930,0	1022,5	1124,3	1236,2
05 01 02	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	584,0	0,0	584,0	649,7	702,5	758,7
05 01 03	სპორტულ ღონისძიებათა პროგრამა	62,5	0,0	62,5	65,0	75,0	85,0
05 01 04	სპორტული ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა	3,0	0,0	3,0	0,0	0,0	0,0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	2546,6	0,0	2546,6	2345,6	2339,6	2537,3

05 02 01	მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	1131,6	0,0	1131,6	1215,1	1154,0	1279,9
05 02 02	ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების ხელშეწყობის პროგრამაში	535,0	0,0	535,0	523,0	530,0	550,0
05 02 04	კულტურული ღონისძიებების პროგრამა	644,0	0,0	644,0	607,5	655,6	707,4
05 02 05	კულტურის ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა	236,0	0,0	236,0	0,0	0,0	0,0
05 03	ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამა	45,0	0,0	45,0	50,0	55,0	60,0
05 05	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	50,0	0,0	50,0	50,0	50,0	50,0
05 06	საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა	55,0	0,0	55,0	56,0	56,0	58,0

სპორტის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის ხელშეწყობის ღონისძიებათა პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		930,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება”		
პროგრამის მიზანი და აღწერა	მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, დაინტერესება და ჩართულობის ზრდა სპორტით დაინტერესებული მოსახლეობის საყოველთაოობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, სპორტის განვითარება; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება;სპორტული ინვენტარით აღჭურვა. ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება ახორციელებს სწავლებებს სპორტის შემდეგი მიმართულებებით: ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ქართული		

	ჭიდაობა,კრივი,პროფესიული კრივი, რაგბი, ჭადრაკი, კარატე-დო,კალათბურთი, ძიუდო, ტაეკვანდო, ხელბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, მკლავჭიდი, სამბო, კიკბოქსინგი, კუდო. სასპორტო გაერთიანება აერთიანებს 16 სპორტულ მიმართულებას, ესენია: ბერძნულ რომაული ჭიდაობა (72 ბავშვი); კრივი-(102ბავშვი; ,რაგბი (38ბავშვი); ჭადრაკი (49 ბავშვი); ,კარატე (72 ბავშვი); კალათბურთი (107 ბავშვი); ძიუდო (97 ბავშვი); ტაეკვანდო (56 ბავშვი); ხელბურთი (47 ბავშვი); მაგიდის ჩოგბურთი (22 ბავშვი); მკლავჭიდი (8 ბავშვი); სამბო (10 ბავშვი);, ქართული ჭიდაობა (18 ბავშვი); კუდო (15 ბავშვი); პროფესიული კრივი(5ბავშვი; ,კიკბოქსინგი(14 ბავშვი), სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 732 მოზარდი,რომელთაც სამწვრთნელო პროცესები უტარდებათ სასპორტო გაერთიანების სპორტის სასახლისა და სპორტ სკოლის დარბაზებში.ასევე ირიცხება 18 წელს ზემოთ 38 სპორტსმენი. სასპორტო გაერთიანების აღსაზრდელები პერიოდულად მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; სპორტული ცენტრის ფუნქციონირებას შეუფერხებლად; ყველა მსურველის დაკმაყოფილება ცენტრის მომსახურებით; მოზარდებისათვის სპორტული წრეებით სარგებლობის ხელმისაწვდომობას.

პროგრამის დასახელება	კოდი	ფეხბურთის ხელშეწყობის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		584,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი”		
პროგრამის მიზანი და აღწერა	1. ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა ფეხბურთში. სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული სპორტსმენების მომზადება ნაკრები გუნდებისათვის; თანამედროვე საწვრთნელი პროცესის დანერგვა (2025-2028) წწ. შეჯიბრებებსა და ტურნირებში მონაწილეობის მიღება; ბავშვთა რაოდენობის გაზრდა, მწვრთნელთა მომზადება;		

	ტრენინგის გავლა და ლიცენზიის კატეგორიების მოპოვებისათვის; პროგრამის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ფეხბურთის განვითარებას. 2. გუნდი „ერისი“-ს დაკომპლექტება, განვითარება, ხელშეწყობა ინფრასტრუქტურის მომზადება. 3. სენაკის „ერისის“ ბავშვთა ასაკობრივი გუნდები მონაწილეობას ღებულობენ სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონის კალენდარულ შეხვედრებში. ამჟამად სენაკის ერისის U- 15 მონაწილეობას ღებულობს ბრინჯაოს ლიგაში. ვგეგმავთ სტადიონზე ფეხბურთელების დასაჯდომი სკამებისთვის ლითონის კონსტრუქციის საფარის მოწყობას. კლუბში სწავლება უფასოა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ჯანმრთელი ცხოვრების წესი ქართული ფეხბურთის განვითარება და გამორჩეული ბავშვების მიწოდება საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის, საფეხბურთო კლუბი „ერისი“-ს დაკომპლექტება ადგილობრივი აღსაზრდელებით; საფეხბურთო კლუბის ფეხბურთელთა გუნდი ერისისა და ასაკობრივი ჯგუფების მიერ სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობის შედეგად დაკავებული ადგილები; საანგარიშო პერიოდში ბავშვთა დაინტერესება და ჩართვა სპორტულ ცხოვრებაში ფეხბურთის განვითარებისათვის.

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებების პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 03		62,5
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამა მოიცავს: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზებას, მასში მონაწილე მოყვარული სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოებას, წახალისება ფულადი ჯილდოებითა და ფასიანი საჩუქრებით; საანგარიშო წლის მანძილზე წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების წახალისება ერთჯერადი ფულადი ჯილდოებით; წლის წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების დაჯილდოება, სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარებას. პროექტები: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, სპორტი ბარიერების გარეშე, მოყვარულთა ფეხბურთის ლიგის, მასტერ ლიგისა და ევროპის სპორტული კვირეულის, სენაკის მუნიციპალური თამაშების ჩატარება-ორგანიზება და გამარჯვებულებისათვის რეგიონალურ და ზონალურ ეტაპებზე ტრანსპორტირებაში და ფორმებით უზრუნველყოფაში ხელშეწყობა; სენაკში საცხენოსნო სპორტის ხელშეწყობა; მინიფეხბურთის ტურნირი მოყვარულ ფეხბურთელთა შორის „თვითმმართველობის თასი 2025“.		

	პროგრამის მიზანია: ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პროგრამის განხორციელების შედეგად დაფინანსდება სხვადასხვა სპორტული პროექტი, შესაძლებელი იქნება წარმატებული მოყვარული, ვეტერანი, თუ მოქმედი სპორტსმენის წახალისება. და ეროვნული ცნობიერების ამაღლება, განვითარების ახალ ეტაპზე გადავა სენაკის საცხენოსნო სპორტი.

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 04		3,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	2024 წელს სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული თანხის 2,5%-ის დაფარვა.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოსახლეობის კმაყოფილების დონის ამაღლება		

კულტურის განვითარების ხელშეწყობა

კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, სადღესასწაულო დღეებში ჩატარდება სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

პროგრამის დასახელება	კოდი	მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		1131,6
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი“		
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია სენაკისა და მის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები მოსწავლე-ახალგაზრდობის ესთეტიკურ-შემეცნებითი აღზრდა, განვითარება და მთლიანად მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება, მათი შემოქმედებითი ცხოვრების გამრავალფეროვნება. მოსწავლე-ახალგაზრდობისა და ზოგადად მოსახლეობის ესთეტიკურ-კულტურული დონის ამაღლების მიზნით აღნიშნულ		

	ცენტრში ფუნქციონირებს ხალხური და საესტრადო ცეკვებისა და სიმღერის ანსამბლები, ახალგაზრდული კლუბი, თეატრალური სტუდია. წრეები: საესტრადო საკრავების, მხატვრული კითხვის, აგრეთვე ეკოლოგიისა და ეკოტურიზმის სექცია „მწვანე ერთობა“ წიგნის და კულტურული ტურიზმის კლუბები. ცენტრში ფუნქციონირებს 1 საჯარო, 1 საბავშვო და სენაკის სხვადასხვა სოფლებში განლაგებული 15 ბიბლიოთეკა. სულ დღეის მდგომარეობით წიგნადი ფონდის ოდენობა შეადგენს 161152.ცალს. ბიბლიოთეკებში 2024 წელს მკითხველთა რაოდენობამ შეადგინა სულ 4240 კაცი. მკითხველთა დასწრებადობა-46363 კაცი. ცენტრის შემავალ ორგანიზაციებიდან ფუნქციონირებს 2 ქალაქის და 2 სოფლის მუზეუმი. სულ მუზეუმების ფონდის ოდენობა შეადგენს 8311 ექსპონატს, 2024 წელს მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა შეადგენდა 1250 -ს, 2024-2025 სასწავლო წლისათვის განსახორციელებელი მომსახურების ნუსხა: • მხატვრული კითხვის სექცია (უფასო); • ეკოლოგიის სექცია(უფასო); • საესტრადო საკრავების სწავლების სექცია (ფასიანი); • სპორტული ცეკვების სწავლების სექცია (ფასიანი); • ქართული ხალხური ცეკვის სწავლების სექცია(ფასიანი); • საესტრადო სიმღერების სწავლების სექცია(ფასიანი); • საბავშვო თეატრალური სკოლა-სტუდია (ფასიანი) • კულტურის ცენტრის ახალგაზრდული თეატრი (უფასო); • ქორეოგრაფიული ანსამბლი „კოლხი“ (უფასო); • ტურიზმის განვითარების სექცია (უფასო) • წიგნის სიყვარულთა სექცია (უფასო) • საესტრადო მუსიკალური ბენდი „აკუსტიკა“ (უფასო) თითოეულ ფასიან სექციაზე სწავლის ღირებულება შეადგენს 20 ლარს. ფასიანი წრეების ყოველთვიური გადასახადის გადახდისაგან გათავისუფლდებიან იმ ოჯახის მოზარდები და ახალგაზრდები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს არაუმეტეს 70 000 (სამოცდაათი ათასს), ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ომებში და სამშვიდობო ოპერაციების განხორციელებისას დაღუპული, უგზოუკვლოდ დაკარგული მებრძოლთა შვილები და ასევე ცენტრის თანამშრომელთა ოჯახის წევრები (შვილები, შვილიშვილები). დევნილებზე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე (შშმპ) გავრცელდება 50%-იანი შეღავათი. ერთი ოჯახიდან ორი ბენეფიციარის ერთ პედაგოგთან სწავლის შემთხვევაში მე-2 ბენეფიციარის ყოველთვიური გადასახადის ოდენობა განახევრდება (საფასური 50%).
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სრულიად სენაკისა და მისი ადმინისტრაციული ერთეულების მაცხოვრებლების(მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩათვლით) ესთეტიკურ-კულტურული დონის ამაღლება,მათი ცხოვრების გამრავალფეროვნება, კულტურული ტრადიციების დაცვა და სხვა.

პროგრამის დასახელება	კოდი	ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების ხელშეწყობის პროგრამა	
----------------------	------	---	--

			2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		535,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი“		
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: სკოლისგარეშე სახელოვნებო განათლების მიღების ხელმისაწვდომობა, ნიჭიერთა გამოვლენა და შემოქმედებითი მხარდაჭერა, ხელოვნების დარგების პოპულარიზაცია. პროგრამა უზრუნველყოფს ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის“ დაფინანსებას, რომლის სისტემაში ფუნქციონირებს სამუსიკო და სამხატვრო სკოლები, შემოქმედებითი ჯგუფები/ანსამბლები, ხელოვნების საკვირაო და საზაფხულო სკოლების პროექტები. ცენტრში მოქმედებს პროექტები: ინკლუზიური სახელოვნებო განათლება, მოსამზადებელი ჯგუფები ხელოვნების დარგების მიმართულებით. ხორციელდება 70000-მდე ქულის მქონე, სოციალურად დაუცველო ოჯახების, და-მშობლები ერთი ოჯახიდან მოსწავლეების, ნიჭიერი მოსწავლეების და პედაგოგების შემოქმედებითი წახალისება და სტიმულირება. სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, საორგესტრო (ვიოლინო, ჩელო, საქსაფონი, ფლეიტა, ალტი) განყოფილება, საგუნდო სიმღერის სპეციალობა, საესტრადო განყოფილება, გიტარისა და ხალხური საკრავთა ჯგუფები. სკოლაში ირიცხება 263 მოსწავლე. მომსახურეობის წლიური ღირებულება შეადგენს: ა) საფორტეპიანო განყოფილება 250 ლარი; ბ) საორგესტრო განყოფილება- უმაღლესი განათლების პედაგოგისათვის: -250 ლარი; პროფესიული განათლების პედაგოგისათვის: -200 ლარი; გ) საგუნდო-სადირიჟორო - 250 ლარი; დ) საესტრადო-230 ლარი; ე) კლასიკური გიტარა - ბაკალავრი პედაგოგისათვის - 250 ლარი, პროფესიული განათლების პედაგოგისათვის - 200 ლარი; ვ) ქართული ხალხური საკრავები (ფანდური) - 200 ლარი; სამხატვრო სკოლაში ეწყობა შიდა და საკლასო გამოვენები, გაკვეთილ-პლენერები, ისწავლება: ხატვა, ფერწერა, ხელოვნების (მსოფლიო და ქართული), ისტორია, გრაფიკა, ძეგლწერა, კომპოზიცია. ფუნქციონირებს მოსამზადებელი ჯგუფი. სკოლაში ირიცხება 102 მოსწავლე. მომსახურეობის წლიური ღირებულება შეადგენს 150 ლარს;		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	- ხელშეწყობილია სახელოვნებო - საგანმანათლებლო მიმართულებების ფუნქციონირება და გამოვლენილია ნიჭიერი მოსწავლეები. - უზრუნველყოფილია შემოქმედებით ღონისძიებებში ჩართულობა და გაზრდილია მომხმარებელთა რაოდენობა		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებების პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
-------------------------	------	----------------------------------	--

	05 02 04	644,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში კულტურული თვითმყოფადობის გაღრმავების ხელშეწყობა და შემოქმედებითი პროცესების წარმართვა, კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა და განვითარება; ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის შენარჩუნება; ადამიანის სულიერი, ინტელექტუალური, მორალური და ემოციური განვითარების ხელშეწყობა; სადღესასწაულო დღეების კულტურული ღონისძიებების, ადგილობრივი, ქვეყნის შიდა და საერთაშორისო ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამოების, კონცერტების დაგეგმვა და ორგანიზება; ადგილობრივ მწერალთა, საზოგადო მოღვაწეთა საიუბილეო თარიღების აღნიშვნა, ხელოვნების საღამოების მოწყობა; შემოსული მცირე პროექტების ხელშეწყობა. კულტურული პროექტების დაფინანსება; კულტურის სფეროში მოღვაწე, ნიჭიერი შემოქმედებითი ადამიანებისა და ჯგუფების წარმოჩენა და პოპულარიზაცია; კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის მიზნით საზოგადოებაში მოტივაციის ამაღლება; მატერიალური და არამატერიალური (ეთნოგრაფიული მასალები, ზეპირსიტყვიერების ნიმუშები) კულტურული მემკვიდრეობის, კულტურის უძრავი და მოძრავი ძეგლების, ფოლკლორის, ისტორიულ, არქეოლოგიურ, ეთნოლოგიურ, მემორიალურ რელიგიურ, ესთეტიკურ, მხატვრულ, მეცნიერულ, ტექნიკურ თუ სხვა ღირებულებათა აღრიცხვა, დაცვა, შენარჩუნება და პოპულარიზაცია; შესაბამისი პროფილის საქართველოს სხვა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას; მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნების მიზნით ამ პროფილის საგანმანათლებლო საქმიანობის, პროფესიული დაოსტატების ხელშეწყობას; კულტურული მემკვიდრეობის სფეროში კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სხვა საქმიანობის განხორციელება; მუნიციპალიტეტის მმართველობის სფეროში შემავალ დაწესებულებებში თავმოყრილი ეროვნული სიმდიდრის დაცვის ხელშეწყობას და პოპულარიზაცია; გამოჩენილი პიროვნებების ხსოვნის უკვდავყოფა; კულტურული მემკვიდრეობის სფეროში განათლების ღონის ინტელექტისა და კულტურის ამაღლება; გამოჩენილ ღვაწლის ადამიანებთან შეხვედრას და მათი ღვაწლის პოპულარიზებას.	
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	უზრუნველყოფილია საზოგადოების სხადასხვა ჯგუფებისთვის კულტურული ფასეულობებისა და ღირებულებების ხელმისაწვდომობა, კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ჩართულობა და ხელშეწყობილია კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობა. კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, აღდგენა განვითარება და პოპულარიზაცია; პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, შედეგად გაზიარდება შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაცია, მოსახლეობაში შეიქმნება პოზიტიური განწყობა, მოხდება ნიჭიერი შემოქმედებითი ადამიანებისა და ჯგუფების წარმოჩენა და პოპულარიზაცია; გაიზრდება მონაწილეთა ჩართულობა და გახდება მასობრივი; წელიწადის ყველა ღირშესანიშნავი დღისა და დღესასწაულის აღნიშვნა; კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ძეგლების შენარჩუნება; პოპულარიზებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ძეგლები; გაზრდილი ტურიზმი.	

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 05		236,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	სამუსიკო სკოლის მრავალწლიანი შესყიდვის დავალიანების დაფარვა. ადმინისტრაციული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოსახლეობის კმაყოფილების დონის ამაღლება		

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამა	2024 წლის დაფინანსება (ათასი ლარი)
	05 03		45,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება ახალგაზრდების საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისად ახალგაზრდული საქმიანობის უნივერსალური და მიზნობრივი სერვისების და პროგრამების შეთავაზება, რომელიც არაფორმალური განათლების საშუალებით ხორციელდება, ხელს უწყობს ახალგაზრდებში სხვადასხვა კომპეტენციების განვითარებას. ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და არასამთავრობო სექტორებისთვის იდეებისა და ინიციატივების მხარდაჭერა ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას, გენდერულ თანასწორობას ინოვაციას და მეწარმეობას ხარისხიანი განათლების ხელშეწყობას, ტურიზმის განვითარებას, გარემოს დაცვა და სხვა. პროექტების მხარდაჭერა დასაქმების და განათლების მიღების საუკეთესო საშუალება გახდება. სოფლად მცხოვრები ახალგაზრდებისთვის საინიციატივო ჯგუფების დაარსება და მათი მხარდაჭერა, მნიშვნელოვანია ახალგაზრდების განვითარებისთვის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობისთვის. სკოლის გარეშე აქტივობებში მონაწილეობის მიღება მათ საშუალებას მისცემს არაფორმალური განათლებით იმ უნარების გაუმჯობესებას, რომელიც სამომავლოდ უზრუნველყოფს მათ პროფესიონალური უნარ ჩვევების განვითარებას, ასევე მისცემს საშუალებას აქტიურად იყვნენ ჩართული ახალგაზრდულ საქმიანობაში, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა პროექტებში და ღონისძიებებში, წარმოაჩინონ საკუთარი ცოდნა და შესაძლებლობები. დავაინტერესებთ		

	ახალგაზრდებს და მივაწვდით მათვის საჭირო ინფორმაციას ახალგაზრდული მუშაკის საკმარისობის შესახებ. მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების და სხვა დაინტერესებული მხარეების ერთობლივი მონაწილეობით დავგეგმავთ და განვახორციელებთ ახალგაზრდულ პროექტებს, ახალგაზრდების საჭიროებების მიხედვით.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შეთავაზებული სერვისებითა და პროგრამებით ისარგებლებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდები, რომლებიც არაფორმალური განათლების მეშვეობით გაიმჯობესებენ პიროვნულ უნარ-ჩვევებს, დაეუფლებიან ახალ კომპეტენციებს.

პროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება (ათასი ლარი)
	05 05		50,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის მიზანი და აღწერა	სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიის განვითარებისათვის ხელშეწყობა. ინფრასტრუქტურული სამუშაოების თანადაფინანსება.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	რელიგიური ორგანიზაციების პირობების გაუმჯობესება		

პროგრამის დასახელება	კოდი	საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 06		55.0
პროგრამის განმახორციელებელი	შპს „საინფორმაციო ცენტრი“		
პროგრამის მიზანი და აღწერა	მუნიციპალიტეტში მიმდინარე სხვადასხვა ღონისძიებების გაშუქება; ინფორმაციული უზრუნველყოფა; საზოგადოებასთან ურთიერთობა		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოსახლეობის საინფორმაციო უზრუნველყოფა		

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსება განისაზღვრა 2496,5 ათასი ლარით. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

ორგანიზა ციული კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა			2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2644,7	0,0	2644,7	2824,5	3036,5	3257,5
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1057,1	0,0	1057,1	1118,1	1179,1	1240,1
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	429,1	0,0	429,1	429,1	429,1	429,1
06 01 02	ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის დაფინანსების და თანადაფინანსების პროგრამა	500,0	0,0	500,0	550,0	600,0	650,0
06 01 03	მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსება	120,0	0,0	120,0	130,0	140,0	150,0
06 01 04	დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამა	8,0	0,0	8,0	9,0	10,0	11,0
06 02	სოციალური დაცვა	1587,6	0,0	1587,6	1706,4	1857,4	2017,4
06 02 01	მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა	460,0	0,0	460,0	506,0	557,0	612,0
06 02 02	მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარების პროგრამა	270,0	0,0	270,0	300,0	320,0	350,0
06 02 03	ბავშვებზე ზრუნვის პროგრამა	35,0	0,0	35,0	40,0	45,0	50,0

06 02 04	კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურება	18,7	0,0	18,7	18,7	18,7	18,7
06 02 05	აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია	172,2	0,0	172,2	160,0	180,0	190,0
06 02 06	ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა	40,0	0,0	40,0	45,0	50,0	55,0
06 02 07	სოციალური ადაპტაციისა და ძალადობისა მსხვერპლთა პროგრამა	60,0	0,0	60,0	65,0	70,0	75,0
06 02 08	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამა	124,4	0,0	124,4	150,0	160,0	170,0
06 02 09	სოციალური ღონისძიებების პროგრამა	65,0	0,0	65,0	70,0	75,0	80,0
06 02 10	თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარების პროგრამა	65,0	0,0	65,0	70,0	75,0	85,0
06 02 11	სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	120,0	0,0	120,0	140,0	160,0	180,0
06 02 12	დღის ცენტრ აიკ „ლაზარე- 2015“ თანადაფინანსება	10,0	0,0	10,0	10,0	10,0	10,0
06 02 13	პროექტი „საქმიანობათა ცენტრი სენაკში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის“ თანადაფინანსება	43,9	0,0	43,9	36,7	36,7	36,7
06 02 14	პროექტი „ვიზრუნოთ ჩვენს უფროს თაობაზე“ თანადაფინანსება	90,0	0,0	90,0	95,0	100,0	105,0
06 02 15	სოციალურად დაუცველი მოსწავლეების სასკოლო ნივთებით უზრუნველყოფა	13,4	0,0	13,4	0,0	0,0	0,0

ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას.

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 01 01		429.1
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)კ სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი		
პროგრამის მიზანი და აღწერა	თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა,; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა.დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი. ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის. ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისა.მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა. ზ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელება. პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან: 1. ეპიდზედამხედველობა(მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა). 2. მაღარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი. 3. ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა; 4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ჯანმრთელობა გაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის დაფინანსება და თანადაფინანსება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 01 02		500.0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის დაფინანსებასა და თანადაფინანსებას, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. ა) სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის (გარდა ესთეტიკური ქირურგიის და კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობის შემთხვევებისა) თანადაფინანსება ბენეფიციარებს გაეწევათ გადასახდელი თანხის 50 %-ით, მაგრამ არაუმეტეს 1000 ლარისა; დახმარება გაიცემა წელიწადში ერთხელ, გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ ონკოლოგიური პაციენტებისა და 18 წლამდე მოზარდების შემთხვევაში: ბ) სამკურნალო-სარეაბილიტაციო მომსახურების (ქვევითი თერაპია, მეტყველების თერაპია) თანადაფინანსებით ისარგებლებენ განვითარების დარღვევის ან ამ მხრივ რისკის მქონე 18 წლამდე ბავშვები. ბენეფიციარებს დახმარება გაეწევათ გადასახდელი თანხის 50 %-ით, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარისა. დახმარება გაიცემა წელიწადში ერთხელ. გ) სამკურნალო მასაჟი, ვარჯიში, ფიზიო-მაგნიტო და ულტრაბგერითი თერაპიებით ისარგებლებენ შშმ პირები და სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70 000-მდე და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე 18 წლამდე მოზარდები და შშმ პირები. დახმარება გაიცემა წელიწადში ერთხელ. დ) მაღალტექნოლოგიური კვლევების თანადაფინანსება (მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფია; კომპიუტერული ტომოგრაფია; პოზიტრონულ-ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფია): პროგრამით ისარგებლებენ სოციალურად დაუცველთა ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები 18 წლამდე, შშმ პირები და ონკოლოგიური პაციენტები. მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების დაფინანსება გაეწევათ გადასახდელი თანხის 50 %-ით, მაგრამ არაუმეტეს 1000 ლარისა. სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების მისაღებად თავად ბენეფიციარის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის მიერ მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს: განცხადება; განმცხადებლის პირადობის მოწმობის ქსეროასლი; სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო დოკუმენტაცია – ფორმა №100; ანგარიშ-ფაქტურა; კალკულაცია; მომართვა ჯანდაცვის მომსახურების სააგენტოდან, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამიდან ბენეფიციარის		

	დაფინანსების ოდენობის შესახებ (აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენა აუცილებელი არ არის იმ შემთხვევაში, თუ სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემულ ანგარიშგაქტურაში ასახულია პაციენტის მიერ თანაგადასახდელი თანხა). შესაბამისი სამედიცინო მომსახურების გამწევი დაწესებულებიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ბენეფიციარზე წინასწარ გაიცემა წერილი დაფინანსების თაობაზე. გადაუდებელი სტაციონალური მომსახურების შემთხვევაში ბენეფიციარი ან მისი უფლებამოსილი პირი გაწერიდან 10 დღის ვადაში წარმოადგენს ბენეფიციარის პირადობის მოწმობას; შესრულებული სამედიცინო მომსახურების დამადასტურებელ სამედიცინო ფორმა N100; ანგარიშგაქტურას (კალკულაცია); მომართვას ჯანდაცვის სააგენტოდან, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამიდან ბენეფიციარის დაფინანსების ოდენობის შესახებ; ცნობას ან სხვა დოკუმენტს სამედიცინო დაწესებულებიდან (ხელშეკრულება, შეთანხმება) გადასახდელი თანხის დავალიანების (გადავადების) თაობაზე. ბენეფიციარის დაფინანსების შემთხვევაში მომსახურების გამწევი დაწესებულება წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტაციას, რის შემდეგაც მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განხორციელდება თანხის გადარიცხვა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ჯანმრთელობაგაუარესებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ფინანსური ხელშეწყობა.

პროგრამის დასახელება	კოდი	მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსება	2025 წლის დაფინანსება ა ათას ლარში
	06 01 03		120,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს: ა) სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახზე მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებას სამ თვეში ერთხელ 70 ლარის ფარგლებში. დახმარების მისაღებად თავად ბენეფიციარის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს: წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; მოზარდის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი;		

	ანგარიშგაქტურა აფთიაქიდან; ფორმა N100 და ამონაწერი სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიანი ბაზიდან. ბ) სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიანი ბაზაში რეგისტრირებულ 100 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე საპენსიო ასაკის პირზე, რომელიც სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიანი ბაზაში ფიქსირდება მარტოხელად ან მარტო მცხოვრებად, მედიკამენტოზური მკურნალობის საჭიროების შემთხვევაში დაფინანსებას სამ თვეში ერთხელ, 70 ლარის ფარგლებში. დახმარების მისაღებად თავად ბენეფიციარის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს: წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; ანგარიშგაქტურა აფთიაქიდან; ფორმა №100; ამონაწერი სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიანი ბაზიდან. ბ) ონკოლოგიურ პაციენტთა ქიმიოთერაპიული, იმუნოთერაპიული და ჰორმონოთერაპიული მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების თანადაფინანსებას გადასახდელი თანხის 50 %-ით, მაგრამ არაუმეტეს 1000 ლარისა. (500 ლარამდე ღირებულების მედიკამენტები დაფინანსდება სრულად). დახმარების მისაღებად თავად ბენეფიციარის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; ანგარიშგაქტურა აფთიაქიდან; ფორმა №100; მომართვა ჯანდაცვის სააგენტოდან, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამიდან ბენეფიციარის დაფინანსების ოდენობის შესახებ; გ) თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფ პაციენტთა მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების დაფინანსებას სამ თვეში ერთხელ, 100 ლარის ფარგლებში; დახმარების მისაღებად თავად ბენეფიციარის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს: წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; ანგარიშგაქტურა აფთიაქიდან; ფორმა №100; ამონაწერი სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიანი ბაზიდან. დ) შშმ პირებზე მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების, სამედიცინო სახარჯი მასალებისა და ჰიგიენური საშუალებების დაფინანსება სამ თვეში ერთხელ, 100 ლარის ფარგლებში; დახმარების მისაღებად თავად ბენეფიციარის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს: წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; ანგარიშგაქტურა აფთიაქიდან; ფორმა №100 და სსე აქტის ამონაწერი. ე) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირებზე და მათ შვილებზე მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების დაფინანსებას სამ თვეში ერთხელ, 70 ლარის ოდენობით. დახმარების მისაღებად თავად ბენეფიციარის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს: წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; მოზარდის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი; ანგარიშგაქტურა აფთიაქიდან; ფორმა №100 და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა მარტოხელა მშობლის სტატუსის თაობაზე.
--	---

	ვ) ვეტერანის სტატუსის მქონე პირთათვის საჭირო მედიკამენტების დაფინანსებას სამ თვეში ერთხელ, 100 ლარის ფარგლებში. დახმარების მისაღებად თავად ბენეფიციარის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; ანგარიშფაქტურა აფთიაქიდან; ფორმა N100; ვეტერანის დამადასტურებელი მოწმობის ასლი. ზ) უარყოფითი რეზუს ფაქტორის მქონე ორსულთათვის (ან როდესაც ორსულობა მთავრდება თვითნებითი ან ხელოვნური აბორტით) მედიკამენტ იმუნოგლობულინის დაფინანსება. დახმარების მისაღებად თავად ბენეფიციარის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს: წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; ანგარიშფაქტურა აფთიაქიდან; ფორმა №100. წარმოდგენილი დოკუმენტაციების საფუძველზე ბენეფიციარზე წინასწარ გაიცემა წერილი დაფინანსების თაობაზე. ბენეფიციარის დაფინანსების შემთხვევაში შესაბამისი სააფთიაქო დაწესებულება წარმოადგენს მედიკამენტების ბენეფიციარზე გაცემის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, რის შემდეგაც მერის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განხორციელდება თანხის გადარიცხვა შესაბამისი დაწესებულების საბანკო ანგარიშზე.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	დაავადებულთა მედიკამენტებით მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა. ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

პროგრამის დასახელება	კოდი	დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 01 04		8,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დაწყებითი კლასების მოსწავლეების პროფილაქტიკურ გამოკვლევას აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე უფრო გავრცელებული პათოლოგიების (ჰიპერაქტივობისა და ჰიპერკინეზების სინდრომი, თვალის პათოლოგია და სქოლიოზი) დროული მკურნალობისა და მათთან დაკავშირებული სხვა დაავადებების აღმოცენების პრევენციის მიზნით. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სენაკის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო და კერძო სკოლის დაწყებითი კლასების პირველი და მეორე კლასის მოსწავლეები.		

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	დაავადებულთა მედიკამენტებით მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა. ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.
----------------------------	--

სოციალური დაცვა

პროგრამა ითვალისწინებს სოციალური რისკების პრევენციასა და კრიზისზე დროულ რეაგირებას მოწყვლადი ჯგუფებისა და პირების დაცვა-გამაღიერების მიზნით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებით უზრუნველყოფას, კერძოდ: მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მზრუნველობამოკლებული ნაწილის კვებით უზრუნველყოფას;

კანონმდებლობით გათვალისწინებულ სარიტუალო მომსახურებას; ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისათვის

სადღესასწაულო დღეებში დახმარებას; ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოქალაქეების დახმარებას; სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობას; ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვას; თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარებას; იშვიათი დაავადების მქონე პირთა დახმარებას; მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარებას; დედ-მამით ობოლ ბავშვებზე დახმარებას; სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვთა ხელოვნური საკვებით უზრუნველყოფას; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ხანდაზმულთა სოციალურ დახმარებას; აგვისტოს ომის დროს ომში დაღუპულის ოჯახზე და მშვიდობიან მოქალაქეებზე დახმარებას; სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საამშენებლო მასალებით დახმარებას. აღნიშნული პროგრამები მთლიანობაში უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროგრამის დასახელება	კოდი	მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01		460,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრი		
პროგრამის მიზანი და აღწერა	ა(ა)იპ სენაკის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის სასაბუთო ემსახურება სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებს ყოველდღიურად დღეში ერთჯერადი ცხელი საკვებით.რაციონში შედის სამი დასახელების მზა საკვები. სისტემატიურად ხდება მოსარგებლე პირთა რაოდენობაში ცვლილებების შეტანა ცენტრთან არსებული კომისიის დასკვნის საფუძველზე. მომსახურებით სარგებლობენ აგრეთვე მზრუნველობამოკლებული ოჯახები, მარტოხელა მოხუცები.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების შეჭირვებული მდგომარეობის შემსუბუქება, მათთვის სოციალური პირობების გაუმჯობესება. ბენეფიციარები უზრუნველყოფილია ყოველდღიური საკვებით.		

პროგრამის დასახელება	კოდი	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02		270,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში მრავალშვილიანი ოჯახების გაძლიერება ოჯახში ბავშვის აღზრდისა და სრულფასოვანი განვითარებისთვის აუცილებელი პირობების უზრუნველსაყოფად, სიღარიბის დაძლევა და სიღარიბეში ჩავარდნის პრევენცია. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მრავალშვილიანი (4 და 4-ზე მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახების ყოველთვიური დახმარება თითოეულ ბავშვზე 50 ლარის ოდენობით. დახმარების მისაღებად მრავალშვილიანმა (4 და 4-ზე მეტ შვილიან 18 წლამდე ასაკის) ერთ-ერთმა მშობელმა (მეუღლემ, მზრუნველმა) მერიაში უნდა წარმოადგინოს: წერილობითი განცხადება; მშობლის პირადობის მოწმობის ასლი (გარდაცვლილის შემთხვევაში – გარდაცვალების მოწმობის ასლი); მეურვის (მზრუნველის) შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ გაცემული მეურვეობისა და მზრუნველობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და მეურვის (მზრუნველის) პირადობის მოწმობის ასლი; შვილების დაბადების მოწმობის ასლები; ამონაწერი საბანკო ანგარიშის შესახებ.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მრავალშვილიან ოჯახში ბავშვის აღზრდისა და სრულფასოვანი განვითარებისთვის აუცილებელი მინიმალური პირობების შექმნა. მრავალშვილიანი ოჯახებისათვის ყოველთვიური ფინანსური დახმარების გაწევა (100 მრავალშვილიანი ოჯახი)		

პროგრამის დასახელება	კოდი	ბავშვებზე ზრუნვის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 03		35,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს: ა) დედამამით ობოლ ბავშვებზე (18 წლამდე) დახმარებას, კერძოდ, ყოველთვიურად ერთ ბავშვზე გაიცემა 200 ლარი; დახმარების მისაღებად დედ-მამით ობოლი ბავშვების მეურვემ მერიაში უნდა წარმოადგინოს: წერილობითი განცხადება; ბავშვის (ბავშვების) დაბადების მოწმობის ასლი (ასლები); ცნობა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობის და მხარდაჭერის სერვისების დეპარტამენტის		

	სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ცენტრიდან მეურვის ვინაობის შესახებ; მეურვის პირადობის მოწმობის ასლი. ამონაწერი საბანკო ანგარიშის შესახებ. ბ) იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა დახმარებას. პროგრამა ითვალისწინებს თითოეულზეყოველთვიურად 150 ლარი ს გაცემას; დახმარების მისაღებად თავად ბენეფიციარის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; ფორმა №100 სამედიცინო დაწესებულებიდან, სადაც მითითებულია შესაბამისი სამედიცინო ჩვენება; ამონაწერი საბანკო ანგარიშის შესახებ გ) ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა – ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბავშვიანი ოჯახი, რომელმაც „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2025 წლის სახელმწიფო პროგრამით“ გათვალისწინებული „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა – ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბავშვიანი ოჯახი, რომელმაც „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2025 წლის სახელმწიფო პროგრამით“ გათვალისწინებული „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამის“ ბენეფიციარია და მოცემული პერიოდისათვის იმყოფება მომლოდინეთა რეესტრში. პროგრამა ითვალისწინებს ბავშვის ხელოვნური საკვების დაფინანსებას ერთ გაცემაზე არაუმეტეს 150 ლარის ოდენობით. დახმარების მისაღებად ოჯახის კანონიერ წარმომადგენლის მიერ მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს განცხადება; განმცხადებლის პირადობის მოწმობის ქსეროასლი; ბავშვის დაბადების მოწმობა; მომართვა/ცნობა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობის და მხარდაჭერის სერვისების დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ცენტრიდან ბავშვთა ხელოვნური კვებით უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად დარეგისტრირების თაობაზე; ანგარიშგაქტურა სააფთიაქო დაწესებულებიდან ხელოვნური საკვების მისაღებად. წარმოდგენილი დოკუმენტაციების საფუძველზე ბენეფიციარზე წინასწარ გაიცემა წერილი დაფინანსების თაობაზე. ბენეფიციარის დაფინანსების შემთხვევაში შესაბამისი სააფთიაქო დაწესებულება წარმოადგენს მედიკამენტების ბენეფიციარზე გაცემის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, რის შემდეგაც მერის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განხორციელდება თანხის გადარიცხვა შესაბამისი დაწესებულების საბანკო ანგარიშზე.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, სიღატაკში ან/და კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება.

	დედ-მამით ობოლ ბავშვებზე და იშვიათი დაავადებების მქონე პირებზე ფინანსური დახმარება. სოციალურად დაუცველ 1 წლამდე ასაკის ბავშვები უზრუნველყოფილია ხელოვნური საკვებით.
--	---

პროგრამის დასახელება	კოდი	კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	
	06 02 04		18,7	
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური			
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურება, კერძოდ; გარდაცვლილი დევნილი მოქალაქის ოჯახზე 300 ლარი; ომის ვეტერანის ოჯახზე 300 ლარი. დახმარების მისაღებად გარდაცვლილი დევნილის მოქალაქის ოჯახის წევრის მიერ მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს: წერილობითი განცხადება; განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი; გარდაცვალების მოწმობის ასლი; გარდაცვლილი იძულებით გადაადგილებული პირის დევნილის მოწმობის ასლი; ამონაწერი საბანკო ანგარიშის შესახებ. ასევე, სხვა სახის დოკუმენტი განცხადების განმხილველი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში. დახმარების მისაღებად გარდაცვლილი ომის ვეტერანის ოჯახის წევრის მიერ მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს: წერილობითი განცხადება; გარდაცვლილი ომის ვეტერანის პლასტიკური ბარათის ქსეროასლი; ომის ვეტერანის გარდაცვალების მოწმობის ასლი; განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი. ასევე, სხვა სახის დოკუმენტი განცხადების განმხილველი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში. ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან. დახმარება გაიცემა სენაკის მუნიციპალიტეტის მერის სამართლებრივი აქტით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.			
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გარდაცვლილი ვეტერანის (ომის მონაწილე) და დევნილი ოჯახის წევრებზე ფინანსური დახმარების გაწევა			

პროგრამის დასახელება	კოდი	აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 05		172,2

პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური
პროგრამის მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს სენაკის მუნიციპალიტეტში ბოლო 6 თვის განმავლობაში რეგისტრირებული 2–დან 17 წლის ასაკის ჩათვლით ბავშვების, რომელთა ძირითადი დიაგნოზია („ICD–10“) კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული განვითარების ზოგადი აშლილობები („F84.0“; „F84.9“) სააბილიტაციო მომსახურებას. ქვეპროგრამა მოიცავს შემდეგ მომსახურებებს და ღონისძიებებს: ა) აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების დონის შეფასება და ინდივიდუალური განვითარების გეგმის შედგენა; ბ) ბავშვის მოტორული, შემეცნებითი, სოციალური განვითარების, თვითმოვლისა და დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. აღნიშნული ღონისძიება მოიცავს მულტიდისციპლინური გუნდის, საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე სპეციალისტის (ნევროლოგი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, სპეციალური პედაგოგი, ქცევითი ანალიტიკოსი, მეტყველების თერაპევტი და სხვა) მიერ ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად, მოსარგებლისათვის კომპლექსური თერაპიული სეანსების მიწოდებას, თვეში 18 სეანსი. მათ შორის: ქცევის გამოყენებითი ანალიზის თერაპია, საჭიროებისამებრ მეტყველების თერაპია, ოკუპაციური/სენსორული თერაპია და სხვა. თითოეული სეანსის ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 1 საათს, რომელიც მოიცავს უკუკავშირის ბენეფიციარის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან; გ) ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კონსულტირება; დ) ბენეფიციართა შეფასებისა და ინდივიდუალური გეგმის წარდგენა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში, ხოლო ინდივიდუალური გეგმის ცვლილების შემთხვევაში, კორექტირებული გეგმის წარდგენა არაუგვიანეს შეცვლილი ინდივიდუალური გეგმის თვის წინა თვისა. ე) 6 თვეში ერთხელ ქვეპროგრამის მოსარგებლისათვის გაწეული თერაპიის შედეგების შეფასება/გადაფასება საერთაშორისოდ აღიარებული ინსტრუმენტების გამოყენებით (მ.შ. „ABLLS-R“, „VB-MAPP“, „ESDM“ და სხვა) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს ქცევის ანალიტიკოსთა ასოციაციის“ მიერ დამტკიცებული ანგარიშების სტანდარტიზებული ფორმის მიხედვით ანგარიშის წარდგენა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვის სამსახურში, აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდგომ ერთი თვის განმავლობაში. ქვეპროგრამაში პირველადი ჩართვის შემთხვევაში ბენეფიციარის დიაგნოზი განსაზღვრული უნდა იყოს „ADOS–2“ ტესტირების აუტიზმის სადიაგნოსტიკო კვლევის შედეგის საფუძველზე. მიმწოდებელი, ქვეპროგრამაში ჩართვისას, ქვეპროგრამის განმახორციელებელთან წარმოადგენს სიას მასთან აღრიცხვაზე მყოფი იმ პირების შესახებ, რომლებიც აკმაყოფილებენ პროგრამის კრიტერიუმებს. ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ დადგენილი ფორმის სიას თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტაცია: მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (დაბადების მოწმობა, პასპორტი, იმულებით გადაადგილებული პირის მოწმობა) ასლი; მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის) მოქალაქის პირადობის მოწმობა, ან პასპორტი (ასლი, კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში – აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; სენაკის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი –

	საინფორმაციო ბარათი); მოსარგებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV-100/ა), რომელიც გაცემული უნდა იყოს პროგრამის განმახორციელებელთან წარდგენამდე არაუმეტეს 2 თვით ადრე და მასში მითითებული უნდა იყოს პირის ძირითადი დიაგნოზი და დიაგნოსტიკისთვის აუცილებელი, სულ მცირე, „ADOS-2“ აუტიზმის სადიაგნოსტიკო კვლევის შედეგი, „ADOS“ ტესტირების შედეგი; ამასთან, სერვისით უწყვეტად სარგებლობისათვის, ყოველი მომდევნო წლის დასაწყისში უნდა იქნეს წარმოდგენილი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV-100/ა), შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მომლოდინეთა სიაში ბენეფიციარის ჩართვა ხდება სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში, მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციის წერილობითი მომართვის საფუძველზე. მომართვას თან უნდა ერთვოდეს ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (დაბადების მოწმობა, პასპორტი, იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობა, დიაგნოზის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი და სენაკის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი საინფორმაციო ბარათი). ქვეპროგრამაში ბენეფიციართა ჩარიცხვა იწარმოებს ორ ეტაპად: საბიუჯეტო წლის დასაწყისიდან (იანვრის თვე) და 1-ლი ივნისიდან. მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციასთან გაჩენილ თავისუფალ ადგილზე, მომლოდინეთა სიაში მყოფი პირის მომავალი საანგარიშო წლის დასაწყისში ჩართვის მიზნით, აუცილებელია შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა მიმდინარე წლის 1 დეკემბრამდე, ხოლო 1-ლი ივნისიდან ჩაერთვებიან პირები, რომელთათვის შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა სავალდებულოა მ/წლის 1-ელ მაისამდე. ქვეპროგრამაში ჩართვისას, პრიორიტეტი მიენიჭება მომლოდინეთა სიაში მყოფ სოციალურად დაუცველ ოჯახს, რომლის ქულა არ აღემატება 70000-ს; ასევე იმ პირს, რომელმაც უფრო ადრე მიმართა მიმწოდებელ დაწესებულებას განცხადებით. წლიური გეგმის შესაბამისად, თვეში 18 სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში, ქცევის გამოყენებითი ანალიზის თერაპიის სეანსების რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით შეადგენს: 2-7 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლებებისათვის – არანაკლებ 14 სეანსის; 8-11 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლებებისათვის – არანაკლებ 12 სეანსის; 12-17 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლებებისათვის – მულტიდისციპლინური გუნდის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე. სეანსების რაოდენობა და ბავშვის თერაპიის ტიპი ყოველთვის უნდა თანხმდებოდეს მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან და აღნიშნული შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა ინახებოდეს მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემული წერილობითი თანხმობის საფუძველზე. ქვეპროგრამის ფარგლებში, განვითარების გეგმის მიხედვით გათვალისწინებული 18 სეანსის დაფინანსება ხორციელდება თვეში 350 ლარის ოდენობით. ინდივიდუალური განვითარების გეგმის 1/3-ზე მეტი სეანსის არ ჩატარების შემთხვევაში, ანაზღაურდება პრაქტიკულად ჩატარებული სეანსები, მხოლოდ ერთი თვე. შემდეგ თვეში ანალოგიური შემთხვევის დადგომისას (არასაპატიო მიზეზით სეანსების გაცდენა), ბენეფიციარი მომსახურების მიმწოდებლისგან იღებს წერილობით გაფრთხილებას მომსახურების შეწყვეტაზე და განმეორებითი შემთხვევის გამოვლენისას შეუწყდება პროგრამით მომსახურება. ბენეფიციარს მომსახურება არ შეუწყდება თუ: გაცდენა გამოწვეულია მოსარგებლის ჯანმრთელობის მდგომარეობით; გაცდენა გამოწვეულია მოსარგებლის აქტიური სოციალური სტატუსის ხელშეწყობის მიზეზით (კურორტული დასვენება, კულტურული, შემეცნებითი და სპორტული გასვლები); გაცდენა გამოწვეულია მიმწოდებელი დაწესებულების
--	--

	ფუნქციონირების დროებითი შეჩერების გამო, რაზედაც მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე გონივრულ ვადაში წერილობით აცნობოს მოსარგებლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს და ქვეპროგრამის განმახორციელებელს. აღნიშნული გამონაკლისი შემთხვევების შესახებ მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშგებისას წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სხვადასხვა მიზეზით მომსახურებიდან გასული ბენეფიციარის განცხადების საფუძველზე მიმწოდებელი, წერილით მიმართავს განმახორციელებელს პირის ქვეპროგრამაში ჩანაცვლების მოთხოვნით. ქვეპროგრამაში ჩართვისას პრიორიტეტი მიენიჭება იმ პირს, რომელმაც უფრო ადრე მიმართა მიმწოდებელს განცხადებით. ქვეპროგრამაში მოსარგებლეთა ჩართვა ხორციელდება მიმწოდებლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტაცია: ა) მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (დაბადების მოწმობა, პასპორტი, იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობა) ასლი; ბ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი, კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში – აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; გ) სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბოლო 6 თვის განმავლობაში უწყვეტი რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. დ) მოსარგებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV-100/ა), რომელიც გაცემული უნდა იყოს ცნობის ქვეპროგრამის მიმწოდებელთან წარდგენამდე არაუმეტეს 2 თვით ადრე და მასში მითითებული უნდა იყოს პირის ძირითადი დიაგნოზი და დიაგნოსტიკისთვის აუცილებელი, სულ მცირე, „ADOS“ ტესტირების შედეგი. მიმწოდებელი ვალდებულია ქვეპროგრამის განმახორციელებელს ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის 5 რიცხვისა, წარუდგინოს საანგარიშგებო დოკუმენტაცია. ანგარიშგებისას მიმწოდებლის მიერ წარდგენილი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი (ანგარიშ-ფაქტურა), მოსარგებლის კანონიერ წარმომადგენელთა ხელმოწერებით დადასტურებული შემთხვევათა რეესტრი მიღებული სეანსების რაოდენობის თაობაზე. ქვეპროგრამის განმახორციელებელი პერიოდულად ამოწმებს მიმწოდებლის მიერ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობას. შემოწმების განხორციელების ფორმა და მექანიზმი განისაზღვრება ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ. ქვეპროგრამის განმახორციელებელი ამოწმებს შესრულებული სამუშაოს შესახებ წარმოდგენილ საანგარიშგებო დოკუმენტაციას, რომლის დროსაც ხდება: ა) მოსარგებლის იდენტიფიცირება; ბ) ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტში (ანგარიშ-ფაქტურა) მითითებული თანხის შედარება შემთხვევათა რეესტრში ცალკეულ მომსახურებაზე გაწეული ხარჯის ჯამურ ოდენობასთან; წარმოდგენილ საანგარიშგებო დოკუმენტაციაში შეუსაბამობის აღმოჩენისას, განმახორციელებელმა დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნოს დოკუმენტები მიმწოდებელს და მისცეს 3 სამუშაო დღე აღმოჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ხელახლა წარმოსადგენად. სრულყოფილად წარმოდგენილ შესრულებული სამუშაოს ანგარიშის წარმოდგენის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განხორციელდება თანხის გადარიცხვა შესაბამისი მომსახურების მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	აუტიზმის სპექტრის მქონე მოზარდთა ფინანსური დახმარება

პროგრამის დასახელება	კოდი	ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 06		40,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარება, კერძოდ: სრული ზარალის შემთხვევაში ერთ ოჯახზე 4000 ლარის ოდენობით; ნაწილობრივი ზარალის შემთხვევაში 1500 ლარით. დახმარების მისაღებად დაზარალებულმა მოქალაქემ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს: წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; აქტი ხანძრის შესახებ გაცემული შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს ქ. სენაკის სახანძრო-სამაშველო განყოფილების მიერ. ასევე, სხვა სახის დოკუმენტი განცხადების განმხილველი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში; ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან. დახმარება გაიცემა სენაკის მუნიციპალიტეტის მერის სამართლებრივი აქტით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დასკვნის საფუძველზე.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების ფინანსური მდგომარეობის ხელშეწყობა		

პროგრამის დასახელება	კოდი	სოციალური ადაპტაციისა და ძალადობის მსხვერპლთა პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 07		60,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს ფინანსური დახმარების გაწევას დამოუკიდებლად ცხოვრების, სოციალური ინტეგრაციისა და ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით, ასევე ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერისათვის შემდეგ პირებზე: ა) სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 18 წლამდე მზრუნველობამოკლებული ბავშვის სტატუსის მქონე პირები, რომელთაც მიაღწიეს სრულწლოვანების ასაკს და ვერ იქნენ რეინტეგრირებული ბავშვთა სააღმზრდელო		

	დაწესებულებებიდან, „მინდობით აღზრდისა“ და „მცირე საოჯახო ტიპის სახლის“ მომსახურებიდან. დახმარება გაიცემა ყოველთვიურად 400 ლარის ოდენობით საბიუჯეტო წლის განმავლობაში. (დახმარება გაიცემა 30 წლამდე პირებზე); ბ) ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ავარიული და საცხოვრებლად საშიში შენობებიდან გამოყვანილი, სხვადასხვა მიზეზით (საცხოვრებელი სახლი დაინგრა, დაიწვა ან საცხოვრებლად უვარგისი, ავარიული ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში გახდა სტიქიური უბედურების, უბედური შემთხვევის ან სხვა გარემოებების შედეგად) უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების უზრუნველყოფას ფართით (ბინის ქირის ასანაზღაურებლად კომპენსაცია). დახმარება გაიცემა ყოველთვიურად 300 ლარის ოდენობით საბიუჯეტო წლის განმავლობაში. გ) სენაკის ტერიტორიაზე რეგისტრირებული რეინტეგრირებული ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებზე . დახმარება გაიცემა ყოველთვიურად 200 ლარის ოდენობით საბიუჯეტო წლის განმავლობაში. დ) მოქალაქეზე, რომლის უფლებები დაირღვა და „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაიცემა ერთჯერადად 500 ლარი. ე) სენაკის მუნიციპალიტეტის მერიასა და ასოციაცია „მერკურს“ შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე სენაკის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ძალადობის მსხვერპლზე ასოციაცია „მერკურის“ ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალთა და ბავშვთა თავშესაფრის სერვისით სარგებლობის შემთხვევაში განხორციელდება თავშესაფრით სარგებლობის დღიური ხარჯის ანაზღაურება 30 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მოსარგებლე პირები არიან მოქალაქეები, რომლებიც მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე 6 თვით ადრე მაინც, რეგისტრირებულნი არიან სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება იძულებით გადაადგილებულ პირებზე, რომელთა დახმარების მისაღებად საკმარისია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ წარმოებულ „დევნილთა მონაცემთა ბაზაში“ რეგისტრაციის მისამართად უფიქსირდებოდეთ სენაკის მუნიციპალიტეტი. ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარების მისაღებად მოქალაქემ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს: წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; განცხადებაში აღნიშნული გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები. ასევე, სხვა სახის დოკუმენტაცია განცხადების განმხილველი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში. დახმარება გაიცემა სენაკის მუნიციპალიტეტის მერის სამართლებრივი აქტით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დასკვნის საფუძველზე. ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (საინფორმაციო ბარათი)
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პროგრამით მოსარგებლე მოწყვლადი კატეგორიების ფინანსური ხელშეწყობა და მათი გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობა

პროგრამის დასახელება	კოდი	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 08		124,4
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს		
	ა) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინდივიდუალურ დახმარებას: ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს განეკუთვნება: გონებრივი განვითარების შეფერხების, მათ შორის, დაუნის სინდრომი, ცერებრული დამბლა, აუტიზმი) მქონე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები; (60 ბენეფიციარი) ყოველთვიურად თითოეულ ბენეფიციარზე გაიცემა 100 ლარი; დახმარება გაიცემა აუტისტური სპექტრის მქონე მოზარდებზე, რომლებიც არ არიან ჩართული აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამაში (06 02 05)) ბ) მხედველობის პრობლემის მქონე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები; (56 ბენეფიციარი) წელიწადში ორჯერ თითოეულ ბენეფიციარზე გაიცემა 200 ლარი; სმენადაქვეითებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები; (28 ბენეფიციარი) წელიწადში ორჯერ თითოეულ ბენეფიციარზე გაიცემა 200 ლარი დახმარების მისაღებად პირის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის განცხადებას თან უნდა ერთოდეს: პირის ან კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი საბუთის (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი; მოზარდის შემთხვევაში მისი დაბადების მოწმობის ასლი; ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა); სსე შემოწმების აქტის ამონაწერი. ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან. გ) შშმ პირთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/ თანადაფინანსება; ქვეპროგრამის მიზანია შშმ პირების შესაძლებლობების განვითარებისა და რეალიზებისათვის უაღრესადმნიშვნელოვანი ისეთი პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში მათ სრულყოფილ ინტეგრაციას. ამასთან, კიდევ უფრო ეფექტური იქნება ასეთიპროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოსა დაარასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივითა და თავად შშმ პირთა ჩართულობით.გამომდინარე აქედან, წინამდებარე ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება შესაბამისი პროფილით მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ინიცირებული ისეთი პროექტების/ღონისძიებების დაფინანსება/თანადაფინანსებას, რომლებიც მიზნად ისახავს შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	148 შშმ პირს გაეწევა ფინანსური დახმარება და გაუმჯობესდება მათი სოციალური პირობები.		

	კოდი	სოციალური ღონისძიების პროგრამა	2025 წლის დაფინანსება
--	------	--------------------------------	-----------------------

პროგრამის დასახელება			ბა ათას ლარში
	06 02 09		65,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს ხანდაზმულთა, ვეტერანთა და საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა ოჯახებზე სოციალურ დახმარებას, კერძოდ: ა) 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე კვარტალურად ერთ ხანდაზმულზე გაიცემა 300 ლარი (3 ბენეფიციარი); ბ) ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ლიკვიდაციაში მონაწილეთათვის (26 აპრილს) გაიცემა 100 ლარი. (15 ბენეფიციარი). გ) აგვისტოს ომის დროს და ISAF-ის მისიაში დაღუპულის ოჯახებზე (8 აგვისტოს) გაიცემა 500 ლარი (7 ბენეფიციარი). დ) ქვეპროგრამის ფარგლებში „სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის“ მიერ ფორმირებული ბაზის მიხედვით სენაკის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანებზე და მათთან გათანაბრებულ პირებზე მათი ღვაწლის დაფასების, თანადგომისა და მხარდაჭერის მიზნით, 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარება 100 ლარის ოდენობით. (450 ბენეფიციარი) დახმარების მისაღებად მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს: წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; წარმომადგენლის შემთხვევაში – წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მისი პირადობის მოწმობის ასლი; ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეების სოციალური პირობების გაუმჯობესება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარება.	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 10		65,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		

